1927 წ. აგვისტო.

№ 20.

საქართველოს დამოუკიდებელი

La Géorgie Indépendante

ეროვნული ბიბლიოთეკა

1927. — AOUT N° 20

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

თავდადებულთა ხსოვნას.

რა დიდი განსხვავებაა 1924 და 1927 წლებს შორის, მაშინდელ და დღევანდელ პერსპექტივებ შორის!

1924 წ. ევროპა თითქოს დარწმუნდა საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამაგრებაში და სცადა მისი ლეგალიზაცია. ვამბობთ «თითქოს», რადგან ორ უძლიერეს სახელმწიფოს—ინგლისის და საფრანგეთის—ცნობის აქტში ერთი დასახევი ბილიკი მაინც იყო დატოვებული იმ შემთხვევისთვის, თუ ვინცობაა ესა თუ ის ტერიტორია აუჯანყდებოდა საოკუპაციო ხელისუფლებას.

ეს ასეც მოხდა. საქართველო აუჯანყდა რუსეთს; მან სისხლით გასცა პასუხი ევროპის ნაბიჯს, მოსკოვისკენ გადადგმულს.

პასუხი სისხლით! საქართველო, ქართველი ერი ერთად ერთი იყო მთელს «კავშირში», ვისაც წილად ხვდა ეს მძიმე ჯვარი.

აჯანყება დამარცხდა, რადგან მტერი ჯერ ისევ ძლიერი იყო და საქართველო—განმარტოებული.

განვლო სამმა შავმა წელმა მას შემდეგ და ჩვენ მოწმე ვართ მტრის უმაგალითო დასუსტების. 1927 წ. განსაკუთრებულია ამ მხრივ. ევროპა ზურგს აქცევს საბჭოთა ხელისუფლებას; მან ამოსწურა ყველა «სოციალისტური» შესაძლებლობანი შინ და «რევოლიუციური» შეთქმულობანი გარეთ, გაუშვა ყველა ვადები; ის მიექანება დაღმართით და საკმარისია ერთი მუჯლუგუნი, შინიდან ან გარედან, რომ უფსკრულში გადაეშვას.

არას დროს, არც ერთ ქვეყანაში ხელისუფლება არ მოუცავს ისეთ ცხოველურ შიშს, როგორსაც შეუპყრია კრემლის სტუმრები. ისინი ცდილობენ, რომ ეს შიში თავზედ მოახვიონ მთელს ხალხს! აქედან მათი განგაში გარედან თავდასხმაზე, აქედან მათი ჯალათების ამუშავება—ტეროორი, აქედან მათი ცდა გააბრიყვონ ჩაგრული ერები უდროო გამოსვლისთვის.

ამაო ცდა, ვერავის გააბრიყვებენ. გემი იძირება, ვირთხები გარბიან. «მონოლიტური» ბოლშევიკური პარტია ჰკარგავს თავის თავის რწმენას; დაობენ არა გამარჯვების, არამედ დამარცხების მიზეზებზე; ბრალს სდებენ ერთმანეთს, ლანძღვა-კილვა აღწევს თავის აზღვარს, დარჩენიათ ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდენ...

ახლოვდება განკითხვის დღე მტრისათვის. ამ დღეს უთვალთვალებს და გულის ფანცქალით ელის [illegible] მოსახლეობა.

განსაკუთრებულია ჩაგრულ ერთა სულისკვეთება, აღტყინება. ეს არა ჰგავს იმას, რასაც ადგილი ჰქონდა 1917 წ., თებერვალს. მაშინ ჩვენ ვიბრძოდით რეჟიმის გადასაგდებათ, დღეს კი ვიბრძვით მთლათ რუსეთის უღლის გადასაგდებათ!

განსხვავება დიდია და მას თავისი ლოგიკაც აქვს. ჩვენ თვალწინ ხდება ღირსშესანიშნავი დიფერენციაცია, ეროვნების მიხედვით. ერთის მხრით რუსობა, მეორეს მხრით არარუსობა—აი დღევანდელ მომენტის ყველაზე ნიშნობრივი მოვლენა. როცა კითხვა ისმის საბჭოთა რეჟიმზე, ისინი თითქოს ერთათ არიან მის დასამხობათ; როცა ჯერი მიდგება თვით სახელმწიფოს არსებობაზე, ისინი ეთიშვიან ერთმანეთს: რუსები ცალკე ირაზმებიან, არარუსები კიდევ ცალკე.

არა თუ ირაზმებიან, რუსები მზათ არიან გვერდში ამოუდგენ მათ ჯალათებს—ბოლშევიკებს და საერთო ფრონტით მიიტანონ იერიში არარუს ერებზე, რომელთაც სურთ დამოუკიდებელი არსებობა! აქ ცხადდება სრულიად აშკარათ, რომ ნაციონალური მომენტი პრიმატია, სოციალურ მომენტთან შედარებით.

უნდა ვთქვათ, ძველი იმპერიის ერები, ამ ათი წლის განმავლობაში, გაიზარდენ პოლიტიკურათ, მომწიფდენ. ამაში ბოლშევიკებსაც მიუძღვით დამსახურება იმ მხრივ, რომ ესენი მხოლოდ აღიზიანებენ და არ აკმაყოფილებენ ეროვნულ მე-ს.

ვერაგ მოსკოვს კარგათ ესმის, რომ არარუს ერების უდროო გამოსვლა შემოკრებს მის ირგვლივ მთელ რუსის ერს, განურჩევლათ რწმენისა და მდგომარეობისა, და მით გაახანგრძლივებს მის ბატონობას. აი, რატომ არ ერიდება ის არავითარ პროვოკაციას, რატომ თხზავს ათასგვარ ჭორებს ამა თუ იმ ერის მზადებაზე აჯანყებისთვის.

ქართველმა ერმა და მასთან ერთათ სხვა ერებმა არ უნდა მისცენ მოსკოვს ეს იაფი გამარჯვება. მათი არსებითი ინტერესია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დასამარებაში გადამჭრელი როლი ითამაშოს თვით რუსის ერმა. ბოლოს და ბოლოს რეჟიმის ფესვები ველიკოროსიაში მარხია და არა, მაგ., კავკასიაში. აქ საკმარისია ოკუპაცია მოიხსნას, რომ რეჟიმი თავის თავათ გაჰქრეს.

ამით აიხსნება ჩვენი არამზადების ცდა თფილისში აუბნიონ გზა-კვალი ხალხს და საქმე ისე მოაჩვენონ მას, ვითომ ჩვენ ვებრძოდეთ ქართველ მუშებსა და გლეხებს და არა საოკუპაციო ხელისუფლებას! ვერ გავლენ ფონს ამ ლათაიებით. კახიანები და გელეიშვილები ვერ ეღირსებიან ქართველ ერის ისე გაბიაბრუებას, რომ მან დღის წეს-რიგიდან მოხსნას რუსეთის ბატონობის მოსპობა და მის მაგიერ წამოჭიმოს რეჟიმის კითხვა, წარმავალი ამ ბატონობასთან ერთათ. ჩვენ გვესმის, რომ მათ ეშინიათ ოკუპაციის მოხსნის, რასაც ავტომატიურათ უნდა მოჰყვეს მათი გასამართლება ღალატისთვის; ქართველ ერს საშიშო არაფერი აქვს, მოსამართლე თვითონ იქნება.

რაც მტერს და ჩვენს არამზადებს სცემს შიშის თავზარს, ეს არის აგვისტო-სექტემბერს დანთხეული სისხლი, რომელმაც სამუდამოთ დააშორა ერთმანეთს საქართველო და რუსეთი. დიდია ქართველ ერის განცდა, ამ საშინელებისგან წარმოშობილი; ქართველი ერი ვერ აუხვევს გზას თავის მიზანს—სამშობლოს დამოუკიდებლობას და უზენაესობას,—ამას ეღობება წინ თავდადებულთა წმინდა საფლავები და მათ ზედან დაღვრილი ცრემლები.

არავის გაუყვია, პირიქით წმინდათა-წმინდის შეგინება იქნებოდა თავდადებულთა გაყოფა, რწმენისა და მდგომარეობის მიხედვით. ჩვენც, როგორც თავდადებულნი, უნდა შემოკრბეთ ეროვნულ დროშის ქვეშ და ფიცი დავსდოთ, რომ ყველაფერს: პიროვნულს, ქონებრივს და პარტიულს შევწირავთ ერის უზენაეს ინტერესებს, მის პატივმოყვარეობას და დიდებას.

მოჯადოებული წრე.

საბჭოთა ხელისუფლება მოჯადოებულ წრეშია. ის იქედან გამოსავალს ვერ პოებს. ყოველ ახალ ცდას წრიდან გამოსვლისას ახალი მარცხი, ახალ მარცხს ახალი დარეტიანება, ახალი გაცოფება და ახალი უნაგირების მტვრევა მოსდევს, ეს ამბავი მეორდება პერიოდიულათ. და როდემდის? ნუ თუ მართლა გამოსავალი არ არის? შესაძლებელია პოზიცია ბრმა იყოს, გამოსავალ კარებს ვერ აგნებდეს და ოპოზიციას (ტროცკი-ზინოვიევ-კამენევს) შეეძლოს ბოლშევზმის ხსნა?—პასუხი ერთად ერთია—არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს საბჭოთა გემის სამშვიდობოზე გაყვანა. ბოლშევიზმს თავიდანვე დაყვა მისი უბედურება. ის მკვდრათ იშვა და მკვდრათ შობილი მოგბღაუჭა სიცოცხლეს. სიცოცხლე მისთვის ანორმალობაა, სიკვდილი ნორმალობა. ბუნება ანორმალობას ვერ ეგუება. ის სასტიკია ყოველის მოვლენისადმი, რომელიც უადგილოთ ადგილს იკავებს და საღ პროცესის განვითარებას ფეხებში ებორკება და ხელს უშლის.

რა არის ბოლშევიზმი?—ბოლშევიზმი არის ურა პრაქტიკა. აწყვეტილი, აგორებული უპრინციპობა და აპოლიტიზმი, ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ ქვეშ ზრახვათა თავაშვებული თარეში, განუსაზღვრელი უვიცობა, შეერთებული განუსაზღვრელ თავხედობასა და სიჯიუტესთან. აქედან აშკარაა, რომ ბოლშევიზმი პატოლოგიური მოვლენაა. ის ნაყოფია არა ცხოვრების შინაგან ძალთა განვითარების და მათი იმპულსიური შემოქმედების, არამედ განუსაზღვრულ ანორმალ კომბინაციათა. როგორც ასეთი, რას კვირველია, ბოლშევიზმი ვერ შესძლებს ცხოვრებას, მის საღ პროცესებს ეზიაროს, ის ვერ შესძლებს მოჯადოებული წრე გააღვიოს, ის უნდა ამოიწვეს თავისივე წრეში და წვენში. ზოგი გულუბყვრილო ფიქრობს, ბოლშევიზმი გადახალისდება, კულტურულ სახეს მიიღებს და «გაკულტურულსნებულა» (sic) ბოლშევიზმი შესძლებს გამოსახოს ცხოვრებასთან [illegible] და განაგრძოს არსებობა.—ეს შეუძლებელია, რადგან არცერთ ხაზზე ბოლშევიზმი არ ეგუება კულტურას და ცივილიზაციას. ვნახოთ ეს ხაზები:—ეკონომიკა, პოლიტიკა, უფლება, მეთოდი.

ეკონომიკა. დღეს არე გადალახულია. ძველი კარჩაკეტილობა, ნამცეცობრივი არსებობა და ცხოვრება წარსულს ეკუთვნის. ეკონომიკა უნივერსალურ მთლიანობისა და ნიველიროვკისაკენ ისწრაფვის, ეკონომიური ინდივიდუალობა, დიფერენციაციული სახეობა, დიფერენციაციული ფუნქციების და შედეგების მატარებელი ადგილს უთმობს ეკონომიურ კოსმოპოლიტიზმს. ეს ძირითადი და გარდუვალი კურსია დღევანდელი ეკონომიური ვითარების. ამ ტრანსფორმაციაში ყველა ადგილობრივი ელემენტები მოწოდებულია იმმანენტური აუცილებლობით მაქსიმალური წვლილი შეიტანოს, წინააღმდეგი მოვლენა დატუქსული იქნება საერთო ძლევამოსილებით. ამ ურთიერთობათა კომპლექსში ზოგი ეკონომიური ერთეული ნაკლები აქტიურია, ზოგი მეტი. ის ერთეული, რომელსაც მისი ბუნებრივი უძლურების გამო, მინიმუმი აქტივობისა ხვდა წილად, უფრო ობიექტია, ვიდრე სუბიექტი, გავლენის ქვემდებარე, ხარკის გამღები, ვინემ მისი მატარებელი. ბოლშევიკური რუსეთი ცდილობს ამ საერთო კანონის ზედგავლენას გაექცეს. მისი სისტემა ეკონომიკისა მატერიალურათ ეწინააღმდეგება მსოფლიო სისტემას. ან ერთი უნდა იყოს და ან მეორე. ან მოსკოვის სისტემა, უფრო უსისტემობა, ან მსოფლიოსი. რასაკვირველია, მსოფლიო დაამარცხებს. მოსკოვი ჩაიკეტა. ცდილობს რობინზონის მეურნეობა მოაწყოს. ოცნებაა. ერთ მეექვსედ დედამიწისას დღეს რობინზონის კუნძულის მყუდროობას და პრივილეგიებს არავინ მისცემს. გორდიუსის კვანძი გაჩეხილი იქნება, ბოლშევიზმი მისი ეკონომიკით ამოდაგული და რუსეთი საერთო კანონს დამორჩილებული. მაგრამ ბოლშევიკურ ოპერაციებით ძლიერ დასუსტებული მომავალ ეკონომიურ ჭიდილში რუსეთი ძლიერ დაიჩაგრება. თუ რამდენათ სუსტია დღეს რუსეთი ეკონომიურათ, ამას ნათლათ დავინახავთ შემდეგი ციფრებიდან.

1913 წ., ომის წინ, რუსეთი აწვდიდა მსოფლიოს ხორბლეულობის მოხმარების სრულ ჯამიდან 28,5 პროც.; 1926 წელს რუსეთმა მიაწოდა ამ ხორბლეულობის 4,3 პროც.

ის აწვდიდა	სელს — 64 პროც.;	დღეს აწვდის	— 30 პრ.
»	ერბოს — 21,2 პრ.;	»	— 5,6 პრ.
»	კვერცხს — 56 პრ.;	»	— 10 პრ.
»	ხე-ტყეს — 26 პრ.;	»	— 8 პრ.

სტატისკური ცნობები გერმანიის, რომელიც სცდილობდა ნორმალი ეკონომიური ურთიერთობის დამყარებას რუსეთთან, ამტკიცებს იმასვე, რუსეთის სრულ ეკონომიურ უძლურებას. 92,212 მილ. მარკაზე, (გერმანიის მსოფლიო გაცვლა-გამოცვლის ერთი წლის ჯამი) რუსეთი მონაწილეობს მხოლოდ 2,705 მილ., ესე იგი სრული ჯამის 3,4 პროც. ეს პროცენტული მონაწილეობა ნაკლებია ბელგიისა და ჰოლანდიისაზე.

1924-25 წ., რეკორდის წელი საბჭოებისათვის, გაცვლა გამოცვლამ მიაღწია დაახლოვებით 1,280 მილ. მანეთს, ე. ი. 3,4 პროც. ბრიტანეთის კომერციისა (რომელიც აღწევს ამ ხანს 4,559 მილ. გირვანქას) და 0,3 პროც. მსოფლიო კომერციისა.

მე ვფიქრობ, აცხადებს გერმანიის ექსპერტი უკანასკნელ საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე, საბჭოების კომერცია, შედარებული რუსეთის კომერციასთან ომის წინ, რომელიც არ იყო მნიშვნელოვანი, მოგაგონებს პატარა ვაშლს დიდი გოგრის გვერდით. ამას აცხადებს გერმანიის წარმომადგენელი, რომელიც განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაში იყო და არის რუსეთთან დამოკიდებულებაში ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებთან შედარებით. გერმანია ამბობს, ვერაფერი ნივთიერი ხეირი ვნახე საბჭოებიდანო. ინგლისის წარმომადგენელი იმავე კონფერენციაზე აცხადებს: კიდეც რომ გვქონდეს ჩვენ—ინგლისელებს მონოპოლია რუსეთთან ვაჭრობისა—ეს შეიძლება მხოლოდ 2 პროც. შეამცირებდა უმუშევრობას.

აი რას ლაპარაკობს ციფრების და გამოცდილების ენა. ევროპამ კბილები გაუშინჯა ბოლშევიზმის ეკონომიკას და დაინახა, რომ იქედან სახეირო არაფერი გამოვა.

საბჭოებთან პირდაპირ დამოკიდებულებიდან არაფერი გამოდის. და ევროპა დღეს არც ფიქრობს ამ დამოკიდებულებაზე. ევროპისათვის აშკარაა, რომ ბოლშევიზმი ეკონომიურათ სახეირო არაა. შედეგი? თუ სახეიროა არაა ბოლშევიზმთან ეკონომიური ურთიერთობა, იყოს ის მისთვის და დანარჩენი მსოფლიო მისთვის. შესაძლებელია ასეთი მდგომარეობა? არა. ჯერ ერთი ეკონომიკის განვითარების ხასიათი ეწინააღმდეგება ასეთ ვითარებას და შემდეგ, ცხოვრების ამ ბუნებრივ მსვლელობას რომ თავი დავანებოთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთს მართებს ევროპის მილიარდები და ამ მილიარდების განაღდებას მოითხოვენ მისგან აკტიურათ და თუ ბოლშევიკური რუსეთი უძლურია ეს მილიარდები გადაიხადოს, შეეცდებიან ამ სახით თუ იმ სახით რუსეთში შექმნან ისეთი ვითარება (რაც ბოლშევიზმის უარყოფა იქნება), რომელიც ხელს შეუწყობს მოვალეების დაკმაყოფილებას.

ამგვარათ რამდენათ პირველი მოვლენა, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ხასიათი, იმოქმედებს არა პირდაპირათ რუსეთის ბედზე, იმდენათ მეორე, რუსეთის საგრძნობი დავალიანება, პირდაპირათ. რას ქვია პირდაპირი მოქმედება რუსეთის ბედზე? ეს პირდაპირი მოქმედება არ გულისხმობს მანდამაინც შეიარაღებულ, სამხედრო ჩარევას რუსეთის საქმეებში, თუმცა ასეთი შესაძლებლობა აბსოლიუტურათ შეუძლებელი არაა. ევროპა პრაქტიკული ქვეყანაა, ის მოქმედობს ნაკლები დაბრკოლების ხაზით. აქ მორალი განყენებული ცნება არაა. მორალური და მისაღებია ყოველივე ის, რაც პრაქტიკულათ მიზანშეწონილია. თუ ევროპამ დაინახა ერთ დღეს, რომ ბოლშევიკურ ხიშტებისთვის ხიშტების დაპირდაპირებაა საჭირო,—ის ამას იზამს. ხოლო დღეს დღეობით ევროპას არ სჭირდება ეს უკიდურესი ზომა. მის განკარგულებაში სხვა საგრძნობი საშვალება—ეკონომიური ზომებია,—რომელიც ბოლშევიზმს ბევრ სიმწარეს ასმევს. ბოლშევიზმი მოჯადოებულ წრეში მომწყვდეული, ის იქიდან ვერ გამოვა და არც ამ წრის გარეშე შეუძლია მას არსებობა. ეს წრე უნდა გაირღვეს და რაც უფრო მალე იქნება იგი გარღვეული და ბოლშევიკური ჭაობი ამოშრობილი, მით უკეთესი იქნება ყველასათვის, როგორც შიგნით რუსეთში, ისე მის გარეთ.

ჩვენ აქ გავარჩიეთ ბოლშევიზმის ეკონომიკა, მის სხვა მხარეებს შემდეგ წერილში შევეხებით.

ილია ნუცუბიძე.

ჯაყოს პარტია

«სიცრუე უდიდესი რამეა, როდესაც ის ემსახურება პროლეტარიატის საქმეს»-ო, სთქვა პარტიულ პასუხისგებაში მიცემულმა ლენინმა, პარტიული სასამართლოს წინაშე.

«იცრუე, იცრუე, რამე მაინც დარჩება», ამბობდენ მაკიაველის მიმდევარნი. ერთ დროს ეს დიდ მითქმა-მოთქმას იწვევდა. მაგრამ მისი შესაძლებელი შედეგები არავის წარმოედგინა. დავა მხოლოდ განყენებულ სფეროში იდვა; მორალისა და ფსიქოლოგიის თეორემებით ისჯებოდა. მაგრამ მოხდა ჩვეულებრივი ამბავი—სიცრუის და სიფლიდის მოციქულნი, ამავე საშვალებით, დედამიწის მეექვსედს დაეპატრონენ. და თავისი ჰოტენტოტური მორალი სავალდებულო დოგმათ გამოაცხადეს.

და, მართლაც, რა არის მთელი კომუნისტური «საქმიანობა», საბჭოთა კავშირის სივრცეზე და მის გარეთ, თუ არა სიცრუის, გაიძვერაობის, ძალადობის და ელემენტარულ ზნეობის ფეხქვეშ გათელვა? მართალია, პროლეტარიატის მაღალი იდეალი, თანსწორობის, ძმობის და ერთობის შარავანდეთით მოსილი უდიდესი ლოზუნგები მათ «ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნოებათ» გამოაცხადეს, მაგრამ არავის წარმოედგინა თუ ოდესღაც რევოლიუციონური პარტია უსაშინელესი რეაქციის, უზნეობის და სიფლიდის გამტარებელი შეიქნებოდა, «ჯაყოს» პარტიათ გადაიქცევოდა.

«ბოლშევიზმის კარებიდან რეაქცია შემოვა»-ო, ამბობდენ. აბა ვინ წარმოიდგენდა, თუ თვით ბოლშევიზმი იყო რეაქცია და მისი ცოცხალი მასალა ნაძირალთა ხროვა!

ეს მაშინ დაუჯერებელი იყო. დღეს?.. დღეს კი წინააღმდეგში ვერავის დაარწმუნებთ. ფაქტები მეტათ ჯიუტნი არიან.

და მართლაც რას წარმოადგენს დღევანდელი კომუნისტური პარტია? ვისგან შესდგება ის? ვის ეყრდნობა და რას წარმოადგენენ მისი ზნეობრივი საფუძვლები?

ამბობენ: «კომუნისტური პარტია, რაც არ უნდა იყვეს, მუშათა პარტიაა—მისი უმრავლესობა მუშებია»-ო. მერე მართალია ეს? დაუშვათ, რომ ეს ასეა. მაშინ როგორ ახსნით იმ მდგომარეობას, რომ მუსოლინის პარტიის 85 პროც. მუშები შეადგენენ? განა მოუვა ვინმეს აზრათ მუსოლინის ფაშისტურ პარტიას მუშათა პრტია უწოდოს?

ეგებ ევროპაშია კომუნისტური პარტია თავის მიზნებით, შინაარსით, წმინდა მუშური. ცნობილ ბოლშევიკის მედვედევის გამოთქმით «ის ევროპის კომუნისტური შინაყმაა პოლიტბიუროს ხარჯზე აყვანილი». კომენტარიები ზედმეტია!

ასეა ევროპაში. ასევეა საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში.

კომუნისტურ პარტიიდან ნამდვილი მუშები, კვალიფიციური მუშები გარბიან, ხოლო მათ ადგილს «წითელი აზნაურობის» მსურველნი იჭერენ. ამან დააინტერესა საკონტროლო კომისია და ის შეუდგა პარტიიდან მუშების გაქცევის მიზეზების გამორკვევას. ამის შესახებ «იზვესტია» სწერს: «ვოსკო-

ვის და პეტროგრადის 9 უდიდეს ორგანიზაციებიდან 1926 წ. პარტია მიუტოვებია 8,292 წევრს; აქედან დაზგის მუშები შეადგენენ 76,5 პრ., გლეხები—6,8 პრ. და სხვა—17,2 პრ-ს» («იზვესტია» № 151).

ყველაზე საყურადღებო აქ ის არის, რომ პარტიას სტოვებენ კვალიფიცური მუშები, სპეციალისტები, დაზგის მუშები. რაშია საქმე? რატომ გარბიან მუშები, ნამდვილი პროლეტარები «მუშათა პარტიიდან», «პროლეტარიატის დიქტატურის» პარტიიდან? ამის გასაღებს იძლევა ქართული «კომუნისტი»: ის დასტირის თბილისის მეოთხე რაიონს—«მუშები ვერ მივიზიდეთ პირტიაში»-ო! საწყალი «კომუნისტი» წელებზე ფეხს იდგამს, ხალხის დოვლათს კომიაჩეიკის კარებთან ყრის, ყველა გამვლელ და გამომვლელს შიგ ეპატიჟება, «მობრძანდით, მიირთვით»-ო. მაგრამ თბილისის მუშები მეტათ ჯიუტი ხალხია. კომიაჩეიკის დუქანი საეჭვო ხაფანგათ მიაჩნია და გვერდს უვლის.

«1926 წ. ექვსი თვის განმავლობაში 127 მუშა მივიღეთ პარტიაში. ხოლო 1927 წ. იმავე დროში მხოლოდ 54»-ო, მოსთქვამს «კომუნისტი». «ასეთ არა ნორმალურ მოვლენებს პარტიის ზრდისა და სოციალურ გაჯანსაღების საქმეში ადგილი აღარ უნდა დაურჩესო» იმუქრება «კომუნისტი». გასაგებ ენაზე ეს ნიშნავს: თუ მუშები ნებით არ მოვლენ ჩვენს დუქანში, ჩეკა აიღებს მაკლერის როლს და ეს რას ნიშნავს—თბილისის მუშებმა კარგათ იციან.

«კომუნისტი» «სოციალურ გაჯანსაღებაზე» სტირის. ოღონდაც სატირელი აქვს. აბა როგორ არ უნდა იტიროს, როდესაც იგივე «კომუნიტი» მოგვითხრობს გურიაში კარგად ცნობილი კ. ცინციძის პარტიიდან გადაყენებას, მერე რისთვის. არ იკითხავთ?—«ამხ. ცინცაძემ ისარგებლა თავისი მდგომარეობით, როგორც აღმასკომის და კოოპ. კავშირის თავმჯდომარემ ლაანჩხუთში, ააგო ორსართულიანი აგურის სახლი... აიძულებდა გლეხებს ემუშავნათ იმის სასარგებლოთ. სცემდა თანამშრომლებს»... ერთი სიტყვით იქცეოდა, ისე როგორც ცნობილი ჯაყო. არ ვიცით «ამხ. ცინცაძე» ჯაყოს აგებულობის, მისებრ «კუნძივით» ვაქკაცია თუ არა, მაგრამ მისი საქმიანობა, რომ ჯაყოსაც შეშურდებოდა, ეს კი უდავოა.

ალბათ, მას ეყოლება თავისი ტურა, ქეშელა, თახრაშუ, გიბა და ბრინკა.

ტყვილათ კი არ ამბობს «ჯაყოს ხიზნებში» ივანე ნახუცარი—ცხოვრებამ ახალი აზნაურები დაგვიბადა. რით არ სჯობია» წინანდელ თავადებს დღევანდელი ჩვენი მასპინძელი? განა ჯაყოს აზნაურობა არ შეშვენის?

მაშ! მაშ! წამოხტა ჯაყო—ჯაყო დიდი მადლობელი ხარ, თუ სოფელს გინდა, ჯაყოი კიდევ იმსახურებოდეს, კიდევ გაუწევდე საწყალ ხალხს სამსახურსა!»

ოღონდაც დიდი მადლობელია ჯაყო, ოღონდაც აზნაურია, მის ფერხთ ქვეშ გართხმულია მთელი სოფელი, ის მბრძანებელია, ის კანონმდებელი და მსაჯულია

აბა რით არ ჯობია ჯაყო ძველ თავადაზნაურობას? ოღონდაც ჯობია, მას უკეთ ეხერხება მუშტი, ამის ძალაც აქვს. ოღონდაც «იმსახურებოდეს».

მართალია ცინცაძე პარტიიდან გაუძავებიათ, მაგრამ ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი «ცინცაძე-ჯაყო» ნავარდობს კომპარტიაში და ქვეყნის ბედს განაგებს!

ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ მუშები კომპარტიას სტოვებენ, აყროლებულ ლეშს გაურბიან,—მის იდეურ დოვლათში იმედგაცრუებულნი და მომავალ პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლათ მას თავს აარიდებენ—შიგ კი რჩება ჯაყო თავისი ქეშელათი.

მაგრამ ჯაყო მეტად ანგარიშიანი კაცია. მან იცის სად დევს სქელი დუმა, თლის და იღრიჯება, ის დროს კაცია. ჯაყოს ამარად დარჩენილი კომპარტია შორს ვერ წავა.

აი რატომ გარბიან მუშები კომპარტიის რიგებიდან, აი რატომ ერიდებიან კომიაჩეიკის «დუქანს!»

ვინ დარჩა შიგ? ვის ეყრდნობა ის, თუ არა ჯაყოს?

«ეგრე ვიცის ჯაყომ!»

კომანეიდ.

საქართველოს ამბები.

(საქართველოდან საკუთარ კორესპონდენტებისაგან)

I. საზოგადო ვითარება.

კომუნისტური ფინიები კვლავ ვერ ისვენებენ. თავიანთი წამხდარი საქმეები სხვას უნდათ თავს მოახვიონ, ჩიხში მოემწყვდენ, წინ წასასვლელი გზები მოეჭრათ და არ იციან რა ქნან. «ქვეყანას ვაბედნიერებთ. მარა სხვები გვიშლიან ხელს არ გვასვენებენ ევროპის სახელმწიფოებიო», წრიპინებენ საბრალონი სხვადასხვა ჰანგზე: «აჯანყებებს გვიწყობენ მენშევიკები»-ო. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს გააცხოველეს ჩვეულებრივი დემაგოგია. კახიანმა თფილისის მაზრის კონფერენციაზე ჯერ მიწასთან გაასწორა «უვიცი» კაუცკი, ბევრი უყეფა კრილოვის ფინიასავით და დაასკვნა—მახვილით მოდიან მენშევიკები ევროპიდან და ჩვენც მახვილი უნდა ვიშოვოთო. და მთელ საქართველოში ისევ განახლდა ჭერა და ჩრდილოეთისაკენ ქურდულათ ეტაფზე ეტაფის გზავნა. ჩუმათ, გაუმჟღავნებლათ მიყავთ უდანაშაულო მუშები და მშრომელნი ინტელიგენტები ციმბირის და სოლოვკის ყინულებისკენ, რათა იქ ნელი სიკვდილით მოუღონ ბოლო.

ფინიებს აყაყანების სიგნალი მისცა მოსკოვიდან ბუხარინმა. კამპანიის ფართო მასშტაბით წარმოებისათვის არ იკმარეს კახიანების ენერგია. საჭირო გახთა დახმარება ხელაძის, სულაქველიძის, გელეიშვილის და მათი მსგავსი ყოფილი ხალხის. მუშათა კომისიამ უკვე შეასრულა თავისი როლი. მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრი უნდა გაგდებულ იქნას და ძამანაშვილი კარგათ გაჯორა მისმა «ხაზეინმა» კახიანმა,—თქვენ თფილი ადგილები ჩაიგდეთ ხელში, თითო-ორი მოგვემატეთ და ვითომდა ჩვენს მხარეზე გადმოყვანილი მუშები უყურადღებოთ დასტვეთ, ვინ იცის რას შვრებიან ისინი,—და ჩვენს იუდებს პანღური უთავაზეს. მათ ადგილას ცნობილ მეოცე ოთახში (კომპარტიის ცეკაში) ალფეს ხელაძე დაასკუპეს 25 თუმნიანი ჯამაგირით და ამოცანათ მისცეს მენშევიზმის ცხრათავიანი დევის უფრო სისტემატიურათ, მოხერხებულათ და ფართოთ განადგურება. რასაკვირველია, ათასჯერ გამოაცხადეს მენშევიკები მოსპობილათ და მაინც არაფერი ეშველა. მაინც გენერალური სეკრეტრების დანიშვნა შეიქმნა საჭირო და დატრიალდა ალფესა ს. კ. პ. ცეკას ბინაზე. მან სწრაფათ შეჰყარა ყოფილი მენშევიკების აქტივი, წარმოსთქვა მხურვალე სიტყვები კომუნისტთა და ყოფილ მენშევიკთა ინტერესების ერთიანობაზე, დაიდვა ფიცი ს. დემ-ის საწინააღმდეგო ომის—ბოლომდე მიყვანის შესახებ. ამ ფიცის შედეგია ყურნალი «ახალი გზა».

ალფესას პეტრეც მიაშველეს. დააწრიპინა თავისი «ნაყოფიერი კალამი». «ქართველ ხალხს ახალ ავანტიურას უმზადებენ. გადავარჩინოთ ხალხი». საბრალო პეტრე, ქუჩაში კი ყველა არა კომუნისტს ეფიცება—მაძალებენ წერას და რა ვქნა. ყველა მას დასცინის, პირში აფურთხებს, მტერიც და მოყვარეც. მაგრამ პეტრეს რა ენაღვლება. ფულებს ბლომათ იღებს და ტყუილების წერაში ხომ მას ვერავინ შეედრება. ჯერ კომუნისტების ცეკას ეხვეწებოდა: გროშები მომეცით, ევროპაში გამიშვით და ვეშაპელის მაგიერობას მე გავწევო. მაგრამ ვერ მიართვეს და ახლა აქ იშოვა საქმე. კარგი საქმეა: სინიდისის მამხილებელსაც. ჩეკაში გაისტუმრებს და ფულებსაც იღებს.

• «მუშათა კომისიის» ხალხმა ჯაშუშობა თავის ხელობათ გაიხადა—აი ჯაშუშობის ერთი ნიმუში: ჭიათურაში ჭეიშვილს მოხსენება გაუკეთებია. მისთვის მრავლათ მიუციათ წერილობითი შეკითხვები, რასაკვირველია ამ ბარათებში ჭეიშვილის და მისფერ ხალხის ლოცვა არ ეწერებოდა. ახლა ეს შეკითხვის ბარათები ზოგიერთ ჭიათურელისათვის ბრალდებათ წაუყენებიათ და საქმეებშია ჩაკერებული.—ცხადია, ჭეიშვილს ბარათები ჩეკისთვის გადაუცია.

საკავშირო კომპარტიაში ოპოზიციონურ ბლოკის შექმნამ ჩვენებური უკლონისტებიც გამოაცოცხლა. ისინიც შევიდენ ოპოზიციონურ ბლოკში. საჩქაროთ გამოიწერეს საზღვარგარეთიდან ჩვენი დროის ააკაძე კოტე ცინცაძე და დაიწყეს თავის პარტიაში ანა ლეგალური მუშაობა. ამბობენ, თფილისში მათი შეტაკება პარტიის ოფიციალურ ხელმძღვანელებთან პირდაპირ საოცარი იყო, კინაღამ მივიდა საქმე მუშტებზე და რევოლვერებზე. «თქვენ რუსის ხიშტებით ბატონობთ». «თქვენ პოლიტიკური შარლატანები ხართ», გაისმოდა კომუნისტების კრებაზე. ასე შეხვდენ 22 წელში მთავარ სახელოსნოში სტალინს ჩვენი მუშები. დღეს ასე ხვდებიან თავის ხელმძღვანელებს. თვით კომუნისტები. ბათომში ხომ უარესი იყო, ოპოზიციონერ მუშებს დატუსაღებით ემუქრებოდენ და უკრძალავდენ ლაპარაკს. განსაკუთრებით აქტიურია ცინცაძეები, კალანდაძეები, დუმბაძეები, ოკუჯავეები და ასე გვარეულობით. მაგრამ აშკარათ რამეს თქმას ვერავინ ბედავდა და ცხვირ ჩამოშვებული თითს უწევდა მახარაძის—ამ «გამოჩეჩეტებულის», როგორც მას უკლონისტებმა დაარქვეს, რეზოლიუციას. ამან გამოიწვია სასტიკი რეპრესიები უკლონისტების მიმართ, არ დარიდებიან არავის. პარტიაში ჩაატარეს სასტიკი «წმენდა». ყველა უკლონისტები მოხსნეს ადგილებიდან. ვინც ცოდვები არ მოინანია ხელწერილებით გაზეთებში, დღეს უადგილოთ არის. კ. ცინცაძემ, რომელსაც გასაჩხრეკათ მიუცვინდნენ სახლში, ბრაზისაგან სისხლი გადმოანთხია და ახლა თავისი ხარჯით სოხუმში აქიმობს. მიშა ოკუჯავა, რომელიც კერძივით განზე სდგას და ჯიუტობს, შიმშილით კვდება.

კულტურულ მუშაობის დარგში მორიგი საკითხი ეხლა სკოლებში რუსული ენის გაძლიერებაა და გამარუსებელი პოლიტიკის გამძაფრებაა. არ არის დაწესებულება, რომელიც ქაღალდების ოთხი მეხუთედი რუსულათ არ იწერებოდეს. ვითომ «გოსპლანს» უნდოდა ამის საწინააღმდეგო მოქმედება, მარა მასაც მალე ამოსდვეს ლაგამი; განათლების კომისარიატიც კი თავის ქაღალდების ცხრა მეათედს რუსულათ სწერს. მარა ესეც არ მიაჩნიათ საკმარისათ. ეხლა გაორკეცებულათ შეუდგენ რუსულის გავრცელებას. ჩვენი უნივერსიტეტის საექსპორტო ინტელიგენციის თედოსათვის და სულაქველიძისათვის ჩაბარების შემდეგ ლიკვიდაცია უყვეს უნივერსიტეტის გამომცემლობას «ჩვენ მეცნიერებას». გაზეთში ამის შესახებ ცნობა წვრილი შრიფტით სადღაც კუნჭულში გაუშვეს: «დაკვეთილი წიგნების ხელისმომწერთა არვის დარიგების შემდეგ მოხდა გამომცემლობის «ჩვენი მეცნიერების» თვითლიკვიდაციაო».

— და ეს მაშინ, როცა [illegible] წიგნებში სცურავს მთელი თფილისი და საქართველოს ქალაქები. რუსულ წიგნებით სავსეა სახელგამის მაღაზიები. რუსული პრესა ტონს აძლევს მთელ ცხოვრებას, რუსთაველის პროსპექტზე შენდება. საუცხოო შენობა «ზარია ვასტოკა»ს რედაქციისათვის. ზაკრაიკომის აზრით აქედან უნდა მოეფინოს კომუნისტური სინათლე მთელ აღმოსავლეთს. ამავე დროს ქართული «კომუნისტი» სადღაც დიდი მთავრის ქუჩაზეა სარდაფში მიგდებული. ქართველ კომუნისტებს იმდენი თავმოყვარეობაც კი არ აღმოაჩნდათ, რომ თავის ცენტრ. ორგანოსათვის სამშობლოს დედაქალაქში შესაფერი ბინა მოენახათ. მათ არ აქვთ იმდენი გამბედაობა, რომ ამის შესახებ კრინტი დასძრან. ქვეყანას ყურებს უტენენ: ჯუარებელი სკოლები გავხსენითო და ნამდვილათ კი ათასობით ბავშვები სკოლის გარეშე რჩებიან. შარშან ჭუმბურიძე სწერდა «კომუნისტში»: სალიკვიდაციო პუნქტებს ვხსნით და დიდებს ვასწავლით წერა-კითხვასო. პატარები კი აუარებელი დარჩა ქუთაისის მაზრაში სკოლის გარშემო. ეს სურათი საყოველთაოა მთელ საქართველოში. მაგრამ ვინც სკოლაშია, იმას რა საზრდოს აძლევენ? საქართველოს ისტორია სკოლიდან განდევნილია; ქართული ლიტერატურის დედა-ძარღვი ნაციონალური მოტივი უარყოფილია. გრ. ორბელიანი და აკაკი ჩრდილებშია და მათ მაგიერ ბავშვები უნიჭო და უტვინოების ნაჯღაბნებს ზეპირობენ. დავით აღმაშენებელს ეპიტეტი ჩამოართვეს და დავით მესამეს უწოდებენ. რუსეთში პეტრე დიდს ლენინსაც უყენებენ გვერდით და იგივეობის ნიშანს უსვამენ, ჩვენში კი აღმაშენებელის სახელის ტარება არ შეიძლება, ესე ბრძანა «გიჟ-მაროო».—ჩვენი სკოლები სამაგალითოა, იძახიან საკვეყნოთ, და ნამდვილათ კი სრულ არარაობასთან გვაქვს საქმე: თვითონ მთავრობამ განაცხადა გოგვაძის პირით, სკოლების ცხრა მეათედში სწავლება ძველებურათაა და ახალი პროგრამების არა ესმით რაო. შენობები დანგრეული. მასწავლებლები უვიცები, ბიჭ-ბუჭი კომსომოლები და სკოლებში კომსომოლების ჯაშუშობა—აი სკოლის საერთო სურათი.—სკოლას არა აქვს წიგნი, სახელგამის მიერ გამოცემული წიგნები ყოვლად უნიჭო და უაზრო ნათითხნია და არავის არ აკმაყოფილებს. ყველა გაიძვერა, კარიერისტი და სპეკულიანტი სახელმძღვანელოს ადგენს. ძველ პედაგოგებს სიახლოვეს არ იკარებენ. გოგებაშვილის დედაენა სასტიკათ აკრძალულია, გარუსების პოლიტიკა ასეთი სიმძაფრით პობედონოსცევებსაც არ უწარმოებიათ.

მთელ საქართველოში მარტო თფილისს ეტყობა სიცოცხლის ნიშანწყალი. დანარჩენი ქალაქები ნამდვილ სამარეს წარმოადგენენ. ქუთაისი სრულიად დაცლილია, დანგრეული, ჩამომპალი სახურავებით და დაკეტილი დუქნებით. ასევე მკვდარია და უსიცოცხლო მთელი გზის პირათ მოსახლეობა: გორი, ხაშური, ყვირილა, სამტრედია, სენაკი და ლანჩხუთი. განადგურებულია ფოთი, ოზურგეთი, ბათომი. ყველგან ატყვია უსიცოცხლობა და გაფერანება. გამარტოებული და გლარიბებულია გლეხობა. რომელსაც სულს ხდიან გადასახადებით. წელში გაწყვეტილია ქართველი მუშები, ოომლებიც მოკლებული არიან სამუშაოს მოვნის შესაძლებლობას, იმიტომ, რომ ისინი ქართველებია. საქართველოს ნავთსადგურებში კვირაში ორი გემი თუ დაიყვირებს. საქონელი არ არის. არაფერი შემოდის, არაფერი გადის. ჩვენი ქალაქების დაცალიერება ეკონომიურათ და გაყინვა ნათლათ გამოარკვია ახლახან დასრულებულმა აღწერამ. დავუბრუნდით საშვალო საუკუნოებს, ისევ ბატონობს სოფლური ცხოვრება. ჩვენი კაი მარქსისტები კი გვარწმუნებენ, ეკონომიურათ აგაყვავეთო, ხომ ხედავთ გაგაბედნიერეთ, აგავსეთ ყოველგვარი სიკეთით.

ომის წინანდელი მდგომარეობა შეგიქენითო და სხვა. დღევანდელი საქართველო ნამდვილ სასაფლაოს წარმოადგენს. სადაც მარტო კახიანები, ელიავები, ორახელაშვილები და მამასახლისიანები ძეები უვლიან დავლურს. რამ უნდა გააცოცხლოს ასე უსვთოთ ჩაკლული ცხოვრება?..

ანვარის 20-23 ბათომში თავი მოიყარა, აგვისტოს აჯანყების დროს დახვრეტილ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ერთ-ერთ დამაარსებლის ვასო ცაბაძის ქვრივმა, რომელსაც დარჩა სამი ბავშვი. უბედური ქალი ქმრის დაღუპვის შემდეგ საშინელ მორალურ ტანჯვას განიცდიდა, შევიწროება, სიღარიბე და უპატრონობა სულს ხდიდა. ბოლოს აღივსო ფიალა და უმწეო ადამიანმა საწამლავი მიიღო. საერთოთ პირდაპირ აუტანელია დახვრეტილთა ოჯახების უმწეობა. სიმშილი, სიცივე, უბინაობა, აი მათი უმრავლესობის ხვედრი. ვინ უპატრონებს ქუჩაში დაყრილ ბავშვებს? ვინ უშველის მათ? ალბათ არაქელა ოქუაშვილისთანა სინიდისის მუშები, იმ არაქელასი, რომელმაც აგვისტოს დახვრეტის დროს ვასო ცაბაძის ქვრივს, დღეს ასეთის ტანჯვით გარდაცვლილს, ნაგაზი ძაღლი გამოაკიდა და კინაღამ დაჭამა გულგახეთქილი ადამიანი, რომელიც თავის ქმარს ეძებდა და სხვათა შორის არაქელასთანაც მივიდა.—მარა ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი ბავშვები დაჰყარეს კომუნისტებმა უპატრონოთ, რამდენი დედა დადის მათ მიერ დაშავებული, რამდენი ცოლია შავ ძაძებში გახვეული, რამდენი კერაა ჩამქრალი? ვინ იტყვის კიდევ რამდენი ადამიანი გამოესალმება სიცოცხლეს, ვერ აიტანს რა ტირანიის რეჟიმის საშინელ სუსხს.

აი რუსების ექიმ გეშელინის მსგავსი მაგალითი: ბათომში თავი მოიკლა ექიმ კონდრატი მხეიძემ.—მას წაართვეს ბინა და მით მოუსპეს მუშაობის საშვალება. ამავე რეჟიმის წყალობით დავკარგეთ ჩვენი მუშა რევოლიუციონერი გერასიმე კუხიანიძე. ის ათრიეს, აწამეს კუპრაშვილებმა, გრ. კოპლატაძე და გოგოლაძეებმა, ლანძღეს კომსომოლის ბიჭ-ბუჭებმა და არ მისცეს საშვალება მათთვის შესაფერი პასუხის გაცემის. მისმა გულმა ვერ აიტანა ამდენი დამცირება ექვსი წლის განმავლობაში და ერთი კრებიდან დაბრუნების შემდეგ ათ წუთში გათავდა.

ამ უკანასკნელათ გადაასახლეს პარიტ. კომ. პროცესზე გასამართლებულები ტამბოვში: 1. კოტე ანდრონიკაშვილი, 2. გიორგი ჯინორია, 3. იასონ ჯავახიშვილი, 4. მიხ. ბოჭორიშვილი, 5. მიხ. იშხელი, 6. გ. ანჯაფარიძე, 7. ნაპ. კახიანი, 8. გრ. ცინცაბაძე, 9. გენო ბელთაძე, 10. პართენ ხურციძე, 11. ივანე ავალიშვილი, 12. ბიძინა პირველი, 13. კოლია ნაკაშიძე, 14. ვლად. ბერიძე, 15. ხუხუ ხოფერია, 16. ბახტაძე. მეორე ჯგუფში გადაასახლეს: მ. ჩოგოვაძე, შ. ბაქუნაიშვილი, აკ. ანდღულაძე, ცერცვაძე იაროსლავის იზოლიატორში. მესამე ჯგუფში: შ. ურუშაძე, კოტე ბოკერია, სერ. სულაქველიძე, შალ. ცინცაძე იაროსლავის იზოლიატორში. დ. გველესიანი, ყაჭეიშვილი, მამაგეიშვილი, ჩხეიძე გრ. და მსხილაძე ნოვსიბირსკში; ისიდორე დოლიძე, კ. შოშიტაიშვილი, ნიკოლაშვილი, აბულაძე, ზაქარეიშვილი სვერდლოვში, ფიოლია და პირტახია ჩელიაბინსკის იზოლიატორში.

II. ცნობები გადახახლებულთა შესახებ.

1926 წლის განმავლობაში გადასახლებულია რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში (სოლოვკებზე, იზოლიატორებში და ციმბირის შორეულ კუნჭულებში) 97 კაცი, მათ შორის სამი ქალი (ამ რიცხვში არ შედიან უშუალოთ ჩეკიდან, ქუთაისის და სხვა ციხეებიდან გადასახლებულები). პირველ იანვარს იმყოფებოდა აქ 107 კიცი, მათ შორის 5 ქალი. განთავისუფლებულია ერთი წლის განმავლობაში 44 კაცი. გადაყვინილია სხვა საქართველოს ციხეებში სასჯელის მოსახდელათ სამი კაცი. სულ მეტეხში გატარდა ერთი წლის განმავლობაში 251 პოლიტიკური პატიმარი. ამ ხნის განმავლობაში პოლიტ-პატიმართა დახვრეტები არ ყოფილა. ბრალდებების შეკეთებით, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი გადასახლებულია და დახვრეტილია მრავალი ათეული. დახვრიტეს მაგალითად: იორამაშვილი, მარგალიტაძე, ცხადაია, წოწკოლაური, გოგიბერიძე, ჩანტლაძე, ჩიქოვანი, ნაცვლიშვილი, დოლიძე და სხვები. დახვრიტეს ბევრი გლეხი დუშეთის და თბილისის მაზრებიდან—ყოფილი რაზმელები ჩოლოყაშვილისა და მათი ხელის შემწყობნი. გადასახლებულთა შორის შვიდი ყოფილი თავადაზნაურია, დანარჩენი ყველა მუშები და გლეხებია.

გადაასახლეს 1927 წელში 7 იანვარს სვერდლოვსკში ორი ახალგაზდა ნ. დ.—გურელია გიორგი და ლაჭყებია სევერიან; 17 თებერვალს იქვე გადაასახლეს ორი მუსავატელი ჰუსეინოვი ნადირა და გაჯიევი ფირუდინა, 17 მარტს გაგზავნეს მოსკოვის განკარგულებაში 61 კაცი, მათ შორის 6 ქალია. ამათთან გადაასახლეს 25 დაშნაკი ჩამოყვანილი ერევნიდან. 61 კაცში ურევია მხოლოდ 4 ყოფილი აზნაური, დანარჩენი მუშები და გლეხებია.

გადასახლებულია სამი ნ. დ.—ცომაია კონსტანტინე, ზალდასტანიშვილი ირაკლი და ქებაძე დათიკო. 5 უპარტიო: კიკნაძე ამბროსი, გვიმბრაძე ალექსანდრე, ჩიბარაშვილი არჩილ, სანაძე პასიკო და ნაკაშიძე სულეიმან (აჭარელი), 53 სოციალ-დემოკრატი და ახალგაზდა მარქსისტები: აბდუშელიშვილები ტარიელ და გოგიტა, ახვლედიანი ისიდორე, ანდღულაძე ანანია (მოხუცი, შვილიც გადასახლებული ჰყავს). გოგიბერიძე კოტე (ძმა დახვრეტილი ჰყავს), დოლიძე ვლადიმერ, ესართია თედო, კალანდაძე თეოფილე, კაკაბაძე სარდიონ (მოხუცი მუშა), კოკაია დავით, კუტუბიძე მაკარი, კანდელაკი კოწია (ძველი მუშა გადასახლებული იყო რუსეთში 1923 წელს სამი წლით, მეორე სახ. სათათბიროს წევრი), კვაჭანტირაძეები დები გალიტო და ქეთევან, მელუა არტემ, მენაღარიშვილი ზოსიმე 1923 წელს გადასახლებული იყო რუსეთში სამი წლით, მიმინოშვილი სამსონ, პეტრიაშვილი ნიკოლოზ, რამიშვილი გიორგი, სხირტლაძე ვასო (ძველი მუშა, გადასახლებული იყო 3 წლით 1923 წ.), ურუშაძე ბიქტორ, ფანცულაია ექვთიმე, ფირცხალაიშვილი იორა, ჩუბინიძე ნიკოლოზ, ცერცვაძე ნიპოლიტე (ძმა დახვრეტილი ყავს), წერეთელი კონსტანტინე ჭოხონელიძე თეოფილე, ჭელიძე მაქსიმე, გვარამია ალექსანდრე (ძმა—ტუტაკუ დახვრიტეს 1924.) დოლიძე რაჟდენ, იამანიძე ქეთევან, კალანდაძეები მელიტონი დადოსი, კვაჭანტირაძე სერაფიონ, მგელაძე ივანე, მორჩილაძე, ბიქტორ, ნოდია მირიან, სიხარულიძე გიგო (ძველი მუშა მოხუცი), ტიგარაძე არონ, ქიქავა ვალენტინ, ჩხაიძე ვასილ და ჩიტაიშვილი გრიგოლი—ორთავე გამოიყენა ჩეკამ ხალხის გაცემაში და შემდეგ გადაასახლა, ჭანტურია ბიქტორ. ჭანტურია ეკატერინე, ბორჩხაძე ნიკოლოზ (დროებით დატოვებულია საავათმყოფოში) თენიეიშვილი ვარდენ, ნიკოლაიშვილი დომენტი, ორაგველიძე კასიანე, ნიჟარაძე სერგო (ძმა დაუხვრიტეს 1924 წ.), ხმალაძე ნიკოლოზ, კორძაძე არკადი, კურცხალია მიშა და კალანდარიშვილი ალექსანდრე (დატოვებულია დროებით საავათმყოფოში).

2 მარტს მეტეხიდან ეტაფის საგუბერნიო ციხეში გადაყვანის დროს, გზაში რუსის ჯარისკაცებმა გალახეს კონდახებით ძველი მუშა ვასო სხირტლაძე და ქალი გალიტო კვა-

ჭანტირაძე. ვასო სხირტლაძე არის ერთი ძველი მომუშავეთა განი, რომელიც ერთი საფუძველთაგანია საქ. სოც. დემ. პარტიისა, იცნობს მას ყველა ქართველი მუშა და განსაკუთრებით კი ქუთაისის მუშები.

ვეშაპელის მოკვლის ათი დღის შემდეგ ჩეკის კოლეგიამ დახვრიტა 15-20 კაცამდე («პოლიტბანდიტები»)—გლეხები დუშეთის და თბილისის მაზრებიდან, მხოლოდ ეს ვეშაპელის მოკვლით იყო გამოწვეული თუ არა, ამის გადაჭრით თქმა არ შეგვიძლია, რადგანაც თითქმის ყოველ კოლეგიაზე (ეს კი ყოველ თვე თუ არა, ორ თვეში ერთხელ მაინც ხდება) 20-30 კაცამდე სისხლის სამართლის დამნაშავენი სხვადასხვა ბრალდებებით, განსაკუთრებით კი უცხოელების შპიონაჟის სახით, იხვრიტება. გეპეუ არაფრით არ განსხვავდება ჩეკისაგან, ზოგ შემთხვევაში კიდევაც აჭარბებს მას. ცემა-ტყეპას ძველებურათ აქვს დათმობილი ადგილი. თბილისის ჩეკაში მიყვანისთანავე რამოდენიმე დღე შიშველის, ულოგინო და მშიერ მწყურვალის ფეხისადგილში დამწყვდევა აუცილებელი ეტაპია ჩვეულებრივ საკანში გადაყვანამდე.

ქუჩაში გატაცებას და დამალვას ძველებურზე უფრო ფართო ადგილი აქვს დათმობილი. განსაკუთრებით წასული წლის სექტემბერ-ოქტომბერიდან საქართველოს ყველა ჩეკებში შემოიღეს არ გაგონილი ტანჯვა წამება: ამწყვდევენ სარდაფებში სრულიად შიშველს და ასე ამყოფებენ რამოდენიმე დღეებით. ბათუმის ჩეკაში ერთმა პოლიტ-პატიმარმა ნიკო ჭიპაშვილმა ვეღარ აიტანა წამება და გამომძიებელთან აყვანის დროს გამომძიებელს დაარტყა წყლის გრაფინკა და გადმოვარდა მესამე სართულიდან. ზა მოიტეხა ორივე ფეხი. ექიმობის მაგივრათ დაამწყვდიეს უსაშინელეს სარდაფში და აშიმშილეს რამდენიმე დღეს. იმავე ჩეკის ეზოში არის ორი საიდუმლო საკანი, რომელებსაც სახურავი განგებ აქვს გაფუჭებული და აწვიმს და ათოვს პატიმარს თავზე.

III. გურიაში.

გურიაში რეპრესიები განსაკუთრებულ პირობებში ხდება. საბჭოების არჩევნების შემდეგ უკვე დაიწყეს რეპრესიები. არჩევნების დროს თითქმის გარდა კომუნისტებისა დასაჭერ სიაში იქნა შეტანილი ყველა, ე. ი. ვინც კომუნისტების წინააღმდეგ მისცა ხმა, და მოჰყვენ იქიდან მელ-ნელა და ამ უკანასკნელათ კი ჭერამ მასიური ხასიათი მიიღო. აგრეთვე რეპრესიები გამოიწვია ბუხარინის მოხსენებამ მოსკოვში ამიერკავკასიის ფრონტის შექმნის შესახებ. საქართველოს განსაკუთრებით მოიხსენებდა, ურჩევდა ქართველ კომუნისტებს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ. მართალია თუ მტყუანი, ყველას იჭერენ და ჩეკაში დღეს გურულები ასობით დაითვლება. თუ წინათ ხელწერილი შველოდათ, დღეს ასეთი აღარ გადის, გადის მხოლოდ, თუ მისცემენ ხელწერილს იმისას, რომ ორგანიზაციას ან-დევნილებს ჩააგდებინებენ ხელში. ტანჯვა-წამება ხომ უმაღლეს წერტილამდის არის განვითარებული. აქამდე ქალებს სარდაფში არ აგდებდენ და არც ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებდენ, დღეს კი ეს პირიქით ხდება: ქალები კვირაობით ყავთ სარდაფებში უქვეშსაგებლოთ და უჭმელ-უსმელი და ფიზიკურ შეურაცყოფასაც კი აყენებენ. იქამდის მიდის ჩეკის საქმიანობა, რომ სამარცხვინო საქმეს ჩადიან. გაგონილა სადმე, რომ ქალის საცვლები მამაკაცებს გაეშინჯოთ? გურიაში კი ამას არ სირცხვილობენ, კარებთან, სადაც აუარებელი ხალხია თავმოყრილი, თავისუფლათ გაშლიან საცვლებს და ჰაერში ააფრიალებენ და იცინიან. მამაკაცების ცემასა და სხვა ზომებს მიღებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, მათი ბღავილი ქუჩაში ისმის, გამვლელ-გამომვლელნი სიცოდვით იწვებიან, მაგრამ რა ქნან, ყოველივეს თავის გულში იკლავენ.

დევნილების დევნა ხომ განსაკუთრებული ენერგიით მიმდინარეობს. რომ სისწორით ვთქვათ, დღეს გურია წარმოადგენს ერთის მხრით დევნილების და მეორეს მხრით ჩეკისტების ბანაკს, ჩეკა თანდათან უმატებს ახალ-ახალ რაზმს, და ამ უკანასკნელათ კი შექმნეს განსაკუთრებული რაზმი დევნილებთან საბძოლველათ. პოლიტიკური დევნილები არ არიან უზრუნველყოფილი და დაზღვეული სიკვდილისაგან და ყველას გადაწყვეტილი აქვს ცოცხლათ არ დანებდეს. დევნილების ოჯახები შევიწროებულია. ერთი სიტყვით პირდაპირ ცეცხლი ანთია.

ხალხში სულიერი სიმტკიცე დიდია. დღესხვალობით ელის ჯალათების განდევნას. ნებისყოფა გაუტეხელია.

რეპრესიებს კიდევ მეტს მოველით 26 მაისისათვის, ჩეკა აქედანვე შეუდგა სამზადისს და მშვიდობიანი ხალხი ღამე ვერსათ დადის, რადგან ყველა გზები შეკრულია.

IV. კათალიკოს ამბროსის დასაფლავება.

განსვენებული კათალიკოსი ამბროსი სარგებლობდა მთელს ქართველობაში საერთო სიყვარულით და პატივისცემით. ერთ დროს გავრცელდა ხმები, თითქოს მის წინააღმდეგ მორწმუნეთა შორის მოძრაობა დაწყებულიყოს და მისი მღვდელმთავრობისაგან გადაყენება ყოფილიყოს განზრახული. რა თქმა უნდა, ეს სრულებით მოკლებულია სიმართლეს. ეს ხმები გამოიწვია ამბროსის ავათმყოფობამ: ის უკანისკნელ ხანებში ლოგინათ იყო, მეტყველება წაერთვა, თუმცა გონება ბოლომდე ნათელი შერჩა. ამ ხნის განმავლობაში მის მაგივრათ ეკლესიის საქმეებს უძღვებოდა კ. ცინცაძე, ამ ჟამათ ტფილისის მიტროპოლიტი.

როგორც იცით, ამბროსი გარდაიცვალა პროფ. მელიქიშვილის სიკვდილის რამდენიმე დღის შემდეგ. პრ. მელიქიშვილის დაკრძალვას ოფიციალური ხასიათი ჰქონდა მთავრობის და მისი დაწესებულებების მონაწილეობით. რა თქმა უნდა მხცოვან ქართველი მეცნიერის პატივისმცემელი ქართული საზოგადოებაც ბლომათ დაესწრო.

სულ სხვა იყო კათალიკოს ამბროსის დასაფლავება. ხელისუფლებამ არ დართო ნება მისი გარდაცვალების და დასაფლავების ამბავი საზოგადოებისათვის ეცნობებიათ სპეციალური განცხადებით, სამგლოვიარო განცხადებაც კი არ გაუშვეს გაზეთში. ამიტომ პროვინციაში დიდის დაგვიანებით შეიტყვეს მისი გარდაცვალება. ასე რომ კათალიკოსის გასვენებაზე ხალხი ნებაყოფლობით, გამოუწვევლათ მოდიოდა. და მიუხედავათ ამისა, პროცესიამ, რომელიც ამბროსის ცხედარს აცილებდა, სიმრავლით დაჩრდილა პ. მელიქიშვილის სამგლოვიარო პროცესიაც კი. ეს იყო უსიტყვო, მაგრამ უზარმაზარი დემონსტრაცია-პროტესტი ოკუპანტთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და ეს ყველამ იგრძნო. კათალიკოსი დაასაფლავეს სიონში...

მის მოვალეობას ასრულებს სოხუმის მიტროპოლიტი ქრისტეფორე.

V. ყაჩაღი ნიკოლაიშვილი.

ამ ერთი თვის წინათ სოფელ ოქროსქედში (ბახვის თემი) მოკლულ იქნა ამავე სოფლის მცხოვრები ყაჩაღი ვისიტი ნიკოლაიშვილი.

ამავე ყაჩაღის ამხანაგ-მეგობრებმა იმავე სოფელში მოკლეს ნიკოლაიშვილის გამცემი ცოლ-ქმარი ცქვიტინიძეები.

არც პირველი და არც მეორე შემთხვევა გასაკვირი არ არის, მხოლოთ ჩვენ ვიკითხოთ ნიკოლაიშვილის გაყაჩაღების მიზეზი. «კომუნისტ»-ს თუ დავუჯერებთ, იქ არის ნათქვამი რომ «ნიკოლაიშვილი ოსმალეთში ყაჩაღობდა თვითმპყრობელობის დროსო, შემდეგ ბათუმში. მენშევიკების დროს მენშნვიკებმა მიიღეს პარტიაში და ტყის მცველათ დანიშნეს. გასაბჭოების შემდეგ ნიკოლაიშვილი კვლავ ყაჩაღათ გადის, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს გურიაში ხელმძღვანელობდა აჯანყებულებს»-ო დასხვადასხვა.

სად მოუყარეს თავი ამდენ ჭორებს, ნეტავი ვიცოდეთ. ნიკოლაიშვილი არასოდეს არც უწინ და არც ეხლა სოც. დემ. პარტიაში არ ყოფილა, და რომ გურიაში მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებს სასიკვდილოთ სდევდა, ამის უამრავი საბუთი გვაქვს. ნიკოლაიშვილი აჯანყებას ხელმძღვანელობდაო, გურიას რომ ნიკოლაიშვილისებური ყაჩაღები აჯანყების ხელმძვენელათ არ სჭირდება, ეს თვით კომუნისტებმა კარგათ იციან, ისიც კარგათ იციან, რომ ნიკოლაიშვილი აჯანყებას არ ხელმძღვმელობდა, მაგრამ ალბათ ასეთი სიცრუე დასჭირდათ აჯანყების სახელის გასატეხათ.

ზემოთ ნათქვამია—ვიკითხოთ ამ უკანასკნელათ ე. ი. 1924 წლის შემდეგ ნიკოლაიშვილის გაყაჩაღების მიზეზი თქო, აი მიზეზიც.

1924 წლის ბოლო რიცხვებში ნიკოლაიშვილს იბარებს ოზურგეთს ჩეკა და აძლევს წინადადებას გახდეს ჩეკის აგენტი, დაუახლოვდეს ს. დემ. ორგანიზაციას, გაიგოს ორგანიზაციის წევრების და ხელმძვანელების ვინაობა, დევნილების ასავალ-დასავალი, ეს უკანასკნელები შესაძლო პირობებში კიდევაც მოჰკლას. თუ უარს იტყოდა ამ წინადადებაზე, მოელოდა ჯერ ჩეკა და მისი სარდაფი და შემდეგ კი დახვრეტა, წინადადებასთან ერთად კი აძლევდენ ფულს და იარაღს.

რა ქნას ნიკოლაიშვილმა: არ დაპირდეს, მოელის სასჯელი, დაპირდეს და არ იცის არაფერი ორგანიზაციის. ორ უბედურებაში აირჩია ნაკლები უბედურება, რადგან ნაკლებ უბედურებისაკენ იყო ფული და იარაღი. მოუწერა ხელი და გამოვიდა. ეს გაუგებელი არ დარჩა და ნიკოლაიშვილს, როგორც აგენტს ყველა ზიზღით უყურებდა და იხსენიებდა. ნიკოლაიშვილმა ჩეკას დაპირება ვერ შეუსრულა, რამდენიმე თვის შემდეგ მას ნახულობს პირადად ოზურგეთის ჩეკის თავმჯდომარე ბ. ჯალაღანია და პარტკომის მდივანი გერ. კვაჭაძე.—კიდევ მოლაპარაკება და კიდევ დავალება. მაგრამ ნიკოლაიშვილისაგან ვერაფერი გაიტანეს, რადგან არ იცოდა არაფერი. ჩეკამ მოითხოვა უკანვე ფული და იარაღი, აბა ფულს საიდან მისცემდა. დახარჯული ქონდა, შემოსავალი არაფერი ქონდა და უმწეოთ ეყარა მისი წვრილი ცოლშვილი, და მართლაც ბოლოს და ბოლოს რომ ვერაფერი გაიტანეს ნიკოლაიშვილისაგან, დაუწყეს დევნა, როგორც ყაჩაღს. ნიკოლაიშვილი იძულებული გახდა გამხდარიყო ნამდვილი ყაჩაღი. მთავრობა სდევნიდა, სახლში არავინ უშვებს, ცოლშვილი მშიერ-მწყურვალი უყრია, გამოსავალი არსაით ქონდა, თუ არა ცარცვა-გლეჯა და კიდევაც მიჰყო ხელი.

რა ქნას მთავრობამ, ვერ დაიმორჩილა, ვერ მიუდგა და მიმართა ხერხს: ბევრი ფულის დაპირებით მოიყიდა ცოლ-ქმარი ცქვიტინიძეები და გააცემინა ნიკოლაიშვილი. ყაჩაღის ამხანაგებმაც სამაგიეროს გადახდა იცადრეს და ის იყო კიდეც მოკლეს ცქვიტინიძეები.

ცქვიტინიძეები, საუკეთესო სოფლის მშრომელი ხალხი მოღალატის სახელით ჩავიდენ საფლავში.

დიახ, ჩეკამ გააყაჩაღა ნიკოლაიშვილი, ჩეკამ მოკლა და თანვე გადააყოლა ორი სრულიად უდანაშაულო ადამიანი (მათ ოჯახში დარჩა მარტო ერთათერთი 5-6 წლის ბავშვი) და ვის უნდა აუხვიონ თვალი ამ ჯალათებმა?

ნიკოლაიშვილი პირველი და უკანასკნელი არ არის ამ შემთხვევაში.

ეს ახალი ამბავი არ არის, ძველია, მაგრამ ამ უკანასკნელათ კი ასეთ შემთხვევმა ფართო ხასიათი მიიღო: ჩეკა იჭერს შემჩნევით ამა თუ იმ პირს, და ისიც ისეთებს, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ ორგანიზაციასთან, ბევრი ტანჯვა-წამების შემდეგ სასტიკი ხელწერილით (თუ არ შეასრულებს, უმაღლესი სასჯელი მოელის და გადასახლება ხომ აუცილებელია) პირობას ართმევენ, რომ გასცეს ორგანიზაცია და დევნილები. ამ მხრივ იერიშები მიაქვთ უფრო ახალგაზდებზე. რა ქნან, ეგებიან ჩეკის მიერ დადებულ მახეში და ასეთი ხელწერილის მიცემის შემდეგ ანთავისუფლებენ; გამოდიან და რა ქნან, როდესაც არაფერი იციან, ამას ხომ ჩეკას ვერ ეტყვიან. თავი დაახწიეს ჯოჯოხეთს, ახსოვთ იქ გავლილი ტანჯვა-წამება და კიდევ ხელმეორეთ ჩაუვარდებიან ხელში? არა, ამბობენ, იქ სიკვდილს აქ სუფთა ჰაერზე სიკვდილი გვირჩევნიაო; გარბიან, მაგრამ სად, არც თვითონ იციან. გაქცევის შემდეგ ზოგნი ხელში უვარდებათ- გაათკეცებული წამების შემდეგ თუ არ დახვრიტეს, აუცილებლათ გადაასახლებენ. ჩეკა თვით უწყობს ხელს დევნილი ხალხის გახშირებას, ამის მაგალითი გურიაში ბევრია და მომავალშიც კიდევ მეტს მოველით. თუ ასე არ მოიქცა ჩეკა, აბა რა ქნას, უსაქმოთ ხომ ვერ გაჩერდებიან?

მაისი 1927 წ.

მდინარეს და ღელეს შესახებ.

(ხმა აბხაზეთიდან)

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენცა ვართ გაბედნიერებული რესპუბლიკით, გვყავს მთავრობა-სოვნარკომი, ჩვენი პარლამენტი-ცაკი და ბევრი სხვა. ჩინებული სახელმწიფო მოღვაწენი არიან ჩვენი მმართველები, 100-პროცენტიანი ბოლშევიკები, კომუნისტები, ბუხარინის «ანა-ბანა» ზეპირათ იციან. დღევანდელ გარუსების პოლიტიკის დასახასიათებლათ საინტერესოა გაეცნოთ მათ წარსულს. დემოკრატიულ რეჟიმის დროს ისინი ირქმევდენ «დამოუკიდებელ პარტიას», ყავდათ რვა წევრი აბხაზეთის სახალხო საბჭოში, რუსეთიდან ლტოლვილ ალ. დემიანოვის მეთაურობით (უკანასკნელი ლვოვის დროებით მთავრობის იუსტიციის მინისტრის ამხანაგი იყო და გაათავა «რულ»-ში თანამშრომლობით ბერლინში, სადაც ის გარდაიცვალა შარშან). ეს «დეპუტატები», გარდა მეთაურისა, იყვნენ ნახევრათ-განათლებული სოფლის მასწავლებლები, მწერლები, სტუდენტები თავად-აზნაურებიდან. მათ ძველი რეჟიმის დროს ეძახოდენ «ალფეროვ-გოლუბცევის ბარტყებს» და ერთგულათ ემსახურებოდენ მშობელ ერის გარუსების საქმეს. ხოლო როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მათი იდეალოგია მოკლეთ ასეთი იყო: ჩვენ, აბხაზები, სულ პატარა ჩამორჩენილი ხალხი ვართ, ჩყენ არ ძალგვიძჩ დამოუკიდებელი არსებობა, არა გვაქვს საკუთარი მწერლობა და მისი შექმნა გვიანდაა; ორში ერთი უნდა ავირჩიოთ: მივეკედლოთ ან რუსებს ან ქართველებს,—გავრუსდეთ ან გავქართველდეთ: ჩვენ ვარჩევთ პირველს, რადგან სჯობს დიდმამდინარემ წაგვიღოს ვიდრე პატარა ღელეში ჩავიხრჩოთ!

«დამოუკიდებელ პარტიის» მოღვაწეობა როგორც ცალკე [illegible] ში, ისე მის გარეთ წმინდა ირედენტული [illegible] ცდილობდა საქართველოდან გამოთიშვას. ერთი დამახასიათებელი ფაქტი: როცა საქართველო თავს იცავდა დენიკინის მოხალისეებისაგან, დემიანოვმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოში დენიკინის სადიდებლათ: ჩვენ უნდა ვთხოვოთ განგებას მისი გამარჯვება, ის არის ერთად ერთი მხსნელი დიდი რუსეთისა, მთელის ძალღონით დავეხმაროთ მას... საბჭომ ამ უტიფარი გამოსვლის საპასუხოთ დემიანოვი გააძევა თავის წრიდან და სამართალში მისცა. კენჭის ყრის დროს მას მიემხრენ ალფეროვ-გოლუბცევის ბარტყები, დღეს მართლმორწმუნე კომუნისტები!

აბხაზთა ხალხთან «დამოუკიდებელ პარტიას» საერთო არაფერი ჰქონდა; გარდა რუსის ბიუროკრატების გავლენისა, ეს ვიწრო ჯგუფი გადაგვარებულ და არამკითხე ახალგაზრდებისა ეყრდნობოდა თავად-აზნაურობას, რომელსაც ჩამოართვეს მამულები და პრივილეგიები. თებერვლის რევოლიუციამ ისინი ყველა სოროებში შერეკა, მაგრამ სიტყვისა და კრების თავისუფლებამ ისინი გამოაძვრინა იქიდან და პირველ პანიკის შემდეგ იწყეს მფარველის ძებნა. რადგან რუსებიდან შველა არ იყო, ისინი მიმართავენ ხან თურქებს, ხან მთიელებს. ვიცით, რით გათავდა ეს: ოსმალეთის დესანტით და ბოლშევიკების შემოსევით. თფილისმა გამოგზავნა ჯარები და გვიხსნა როგორც პირველი, ისე მეორე ხიფათისაგან. სოფელი არ არის ისეთი აბხაზეთში, რომელიც სიყვარულით არ იხსენებდეს ვალიკო ჯუღელს და ქართველ მხედრებს.

აბხაზებს თავიდანვე გარკვეული ხაზი ჰქონდათ: ერთობა საქართველოსთან, რომელთანაც ისინი გადაჯაჭვული არიან გეოგრაფიულათ, ეკონომიურათ, კულტურულათ, მთელი წარსულით. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ საყოველთაო თავისუფალ არჩევნებიდან გამოსულმა პირველმა სახალხო საბჭომ აბხაზეთი საქართველოს ნაწილად გამოაცხადა ავტონომიური უფლებებით. საბჭომ შეიმუშავა შესაფერისი კონსტიტუციაც, შექმნა ხელისუფლება კომისარიატის სახელწოდებით და შინაურ საქმეებს დამოუკიდებლათ განაგებდა ამ დროს ეკუთვნის მხარის მაზრებად დანაწილება, ერობათა შემოღება, სკოლების გამრავლება და სხ. ჩვენს ხალხს არასდროს არ დაავიწყდება ეს ხანა თვითმოქმედებისა, ავტონომიურ მართველობისა. მან დაამტკიცა, რომ შეუძლია გაუძღვეს თავის თავს და იმავე დროს გახდეს ერთ-ერთი საფუძველი საერთო სამშობლოსი-საქართველოსი.

ამით იმის თქმა არ მინდა, ვითომ აბხაზეთის მართვა-გამგეობაში შეცდომები არ ჩაუდენია თფილისს, ვითომ ხალხი ყველაფრით კნაყოფილი იყო, მაგრამ ბრალი სახალხო საბჭოსა და კომისარიატსაც მიუძღოდა ამაში, რადგან ამათ არავინ უშლიდა ხელს ბევრი შეცდომა თავიდან აეცდინათ.

1921 წ. რუსეთის თავდასხმის დროს, აბხაზებმა ვერ მიიღეს დიდი მონაწილეობა ქვეყნის დაცვაში და ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ისინი არ იხდიდენ სამხედრო ბეგარას და შეიარაღებული ძალა არ გააჩნდათ. ქართულ ჯარის დახვევას თან მჰყვა ავტონომიურ ხელისუფლების გაქრობაც.

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი დიდათ საყურადღებო ფაქტი. საბჭოთა რეჟიმის დამყარების უმალ ახლათ გამოჩეკილმა კომისრებმა, ძველი რეჟიმის ამ ლაქიებმა, დაიწყეს უქვეშემრდომლესი შუამდგომლობა მოსკოვის წინაშე აბხაზეთის რუსეთის ფედერაციაში უშუალოთ შესვლის და საქართველოდან სრულიად გამოთიშვის შესახებ. რამდენი არ ირბინეს, რამდენი არ სწერეს არზები, არაფერი გაუვიდათ: აბხაზეთი ისევ საქართველოს ავტონომიურ ნაწილად დარჩა! და ეს მოხდა არა მოსკოვის კეთილი სურვილით, პირიქით, მან შეიწყნარა კიდეც პირველ წელს ჩვენი არამზადების აჯა და აბხაზეთი ველიკოროსიას შეუერთეს, უკრაინაზე გადახტუნებით. მაგრამ, როცა გაიგო ხალხმა მის სხეულზედ გაკეთებული ოპერაცია, მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა... და მხოლოდ მაშინ შედრკენ მოსკოვის ბატონები და მათი წვრილ-ფეხა აგენტები და აბხაზეთი ისევ საქართველოს შეურთეს. ამ რიგათ, ყოვლად შემძლე მოსკოვმა ვერ შესძლო აბხაზეთის გატაცება ველიკოროსიის დიდ მდინარეში,, ვერც პატარა ღელეს აღმართზე აშვება, და აბხაზეთი, ისე როგორც მისი დედა საქართველო, იღრჩობა ბოლშევიკურ ბარბაროსობისა და საშინელ მტარვალობის მორევში.

«ავტონომიურ და რესპუბლიკანურ» ფორმის ქვეშ იმალება მახინჯი შინაარსი დევნისა და გარუსებისა. არას დროს წინეთ რუსის ბიუროკრატია და მისი ადგილობრივი ყმანი ისე განუკითხავათ არ თარეშობდენ აბხაზეთში, როგორც დღეს. იქ მოსახლე მეგრელ-ქართველები მოკლებულ არიან უფლებას მონაწილეობა მიიღონ მართვა-გამგეობაში; მათ მიმართ ისეთივე უნდობლობაა, თუ მეტი არა, როგორიც ებრაელთა მიმართ ძველი რეჟიმის დროს. აბხაზეთში, სადაც 95 პროც. მცხოვრებთა ქართულ-მეგრულათ და აბხაზურათ ლაპარაკობენ, ოფიციალური ენა ფაქტიურათ რუსულია ყველა დაწესებულებებში: სკოლაში, სასამართლოში, ადმინისტრაციაში, ეკლესიაში. ჩვენ გათანასწორებული ვართ მხოლოდ მონობაში, სიღატაკეში, ტანჯვა-ვაებაში. ასე არ ცხოვრობენ კომუნისტები, მათ გადააჭარბეს ბურჟუაზიასა და არისტოკრატიას ფუფუნებაში, ამას ზედ დაურთეთ აუწერელი გაგარყვნილება, მათი საზღაპრო ორგიები.

მაგრამ ხალხი იმედს არ კარგავს, რომ ჩქარა მოელება ბოლო მის ტანჯვას; მას გულიდან ამორეცხილი ყავს მისი თითო-ოროორა ორგული შვილები; ხელისუფლება გარიყულია ხალხისაგან, ის მას უყურებს, როგორც მეტ-ხორცს როგორც პარაზიტს და დარწმუნებულია, რომ მისი საღი სხეული აიტანს და თავს დააღწევს მას.

ჩვენ, აბხაზებს, არ გვინდა დახრჩობა არც დიდ მდინარეში და არც პატარა ღელეში. ჩვენ გვინდა სიცოცხლე, თავისუფალი არსებობა, როგორც ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, კულტურული და პოლიტიკური ერთეული. არაფერია ტრაღიკული იმაში, რომ ჩვენ პატარა ხალხი ვართ, პატარა ერის პრობლემას სავსებით ჭრის დემოკრატია. დემოკრატი გვაძლევდა ჩვენ სამი წლის განმავლობაში და მოგვცემს მომავალშიც ნორმალურ პირობებს ეროვნულ-კულტურულ განვითარებისათვის.

საერთო სახელმწიფო ჩვენ გვინდა ვაშენოთ იმ ერთან, რომელიც ყველაზე უფრო ბუნებრივათ არის ჩვენთან შეკავშირებული ზნე-ჩვეულებით, ადათებით, კულტურით, ისტორიით, ენით. ჩვენი სურვილია ავტონომიური აბხაზეთი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ავტონომია ჩვენ გვინდა არა ირედენტულ რეიდებისთვის, არამედ იმისთვის, რომ უკეთ იქნას დაკმაყოფილებული ჩვენი ეკონომიური, ეროვნული და პოლიტიკური ინტერესები. ჩვენ გვინდა თვითონ ვიყოთ ჩვენი თავის და ჩვენი სიმდიდრეთა პატრონნი, რა თქმა უნდ, საერთო სახელმწიფო ინტერესების მიხედვით. რაც შეეხება კულტურულ ორიენტაციას, ჩვენი თვალები მი-

პყრობილია ევროპისკენ. კულტურის შეთვისებისთვის ასიმილიაცია არ მიგვაჩნია აუცილებლად.

ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა შევითვისოთ ევროპის კულტურა და ამისათვის ჩვენთვის უფრო ახლოა ევროპა via თფილისი, ვინემ via მოსკოვი. ჩვენ ვათავებთ, მაშასადამე: გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის ფარგალში ავტონომიურ აბხაზეთს!

ს. ე.

უგზოდათის მიმოხილვა.

ვენის კომუნა.

15-16 ივლისს ვენა იქცა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრად. იქ დატრიალებული ამბები მოგვაგონებს პარიზის კომუნას იმ განსხვავებით, რომ ვენის თვითმართველობა ისედაც სოც.-დემოკრატიულ პარტიის ხელშია, ეს რამდენიმე წელია, და, მაშასადამე მის მიმდევარ პროლეტარიატს არ შეეძლო თავის მიზნად დაესახა დედა-ქალაქის ხელმეორეთ დაპყრობა.

მუშების სტიქიური გამოსვლა შედარებით უბრალო ფაქტმა გამოიწვია: ვენის ნაფიცთა სამსაჯულომ გაამართლა ორი ფაშისტი, რომელთაც ორი სოციალ-დემოკრატის მკვლელობა ბრალდებოდათ. განჩინების გამოცხადების უმალ მუშები დაიძრენ სამრეწველო უბნებიდან და მოადგენ სასამართლოს ძველ და ძვირფას სასახლეს. პირველ წუთებში არავის ეგონა, ყველაზე ნაკლებ თვით მუშებს, რომ აქედან რაღაც ტრაღედია უნდა დატრიალებულიყო. მაგრამ ასე არ ფიქრობდენ პროვოკატორი-კომუნისტები და პოლიცია. გავარდა ორიოდე ტყვია მუშების რიგებიდან. ამას ტყვიითვე უპასუხა პოლიციამ და გაჩაღდა ბრძოლა! აიმართა ბარიკადები, სასახლე ცეცხლის ალში გაეხვია, დაიხოცა ასამდე, დაიჭრა ათასამდე...

მთავრობა უძლური იყო შეეჩერებია ბრძოლა, ქალაქის მერმა ნება არ დართო ჯარის გამოყვანაზე, და ამის მაგიერ მან და სოც.-დემ. პარტიამ შექმნეს მუშებისგან მილიცია, მოაცილეს პოლიცია და მეორე დღეს მშვიდობიანობა დაამყარეს. სისხლის ღვრის საპროტესტოთ ს.-დ. პარტიამ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა და იგი მწყობრათ ჩატარდა მთელს ავსტრიაში და მუშებიც დაწყნარა.

ვენის ამბებმა ცხად ჰყო ს.-დ. პარტიის ორგანიზაციული ძალა და დისციპლინა. მართალია, დასაწყისში მუშები თითქოს საკუთარ ორგანიზაციის ნებადაურთველათ გამოვიდენ, რაც იყო პირველ აღშფოთების შედეგი, მაგრამ მით უფრო სასახელოა ს.-დ. პარტიისთვის, რომ მან შესძლო ინიციატივის ხელიდან გამოგლეჯვა კომუნისტებისგან და აბობოქრებულ მუშათა ზღვის ჩანელება.

მეორე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტი ისაა, რომ ს.-დ. პარტია ანგარიშს უწევს ავსტრიის საგარეო და საშინაო მდგომარეობას და არ სარგებლობს ბოროტათ თავის ძალით. მას შეეძლო უეჭველათ ძალაუფლება ხელთ აეღო მთელს რესპუბლიკაში, მაგრამ ამას უთუოთ სამოქალაქო ომი და მეზობელ სახელმწიფოთა ჩარევა მოჰყვებოდა. სახელმწიფო პასუხისმგებლობამ სძლია რევოლიუციური აღტყინება. ბაუერ-ადლერი, რომელნიც ასე ლმობიერი არიან მოსკოვის მიმართ, იძულებული არიან «ევროპიული» მეთოდი იხმარონ შინ! ამ წინააღმდეგობას მათ გაუხსენებენ ალბათ...

სამთა კონფერენცია.

შვიდ კვირას ითათბირეს ამერიკის, ინგლისის და იაპონიის ადმირალებმა ჟენევაში და 4 აგვისტოს გამოაცხადეს კონფერენცია უშედეგოთ დაშლილად. 2 აგვისტოს ამერიკის პრეზიდენტმა კულიჯმა გამოაქვეყნა თავისი განზრახვა, რომ ის ყუთს არ დაიდგამს მომავალ საპრეზიდენტო არჩევანებზედ. ეს ორი ფაქტი მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. კონფერენცია იმიტომ მოიწვია კულიჯმა, რომ მას უნდოდა ახალი საჩუქარი მიერთმია თავის ქვეყნისთვის და, რადგან ეს არ მოხერხდა, მან არჩია თავის კანდიდატურის მოხსნა.

ჟენევის კონფერენციას თავიდანვე ორი დაბრკოლება შეხვდა. მონაწილეობაზე უარი სთქვეს საფრანგეთმა და იტალიამ. მოლაპარაკების სათავეში ადმირალები მოხვდენ, და აბავის გაუგონია, რომ სამხედრო პირებმა მოისურვონ შეიარაღების შეჩერება!

როგორც ვიცით, პირველი საზღვაო კონფერენცია ვაშინგტონში მოხდა 1921 და 1922 წ.წ. და იგი დასრულდა დიდი ჯავშნოსან გემების რაოდენობის განსაზღვრით თვითეულ სახელმწიფოსთვის. დაწესებულ იქნა პროპორცია: 5 ამერიკა-ინგლისისთვის, 3 იაპონიისთვის და 1.95 საფრანგეთ-იტალიისთვის. ჟენევაში განზრახული იყო კრეისერების, ქვეშ-მავალების და გამანადგურებელთა რაოდენობის შეზღუდვა. ამ ტიპის გემებისთვის აუცილებელი იყო საფრანგეთ-იტალიის მონაწილეობა, უამისოთ შეუძლებელი იყო დანარჩენებისთვის შეთანხმება. მაგრამ ეს თითქოს გადალახეს პატარა გემების შესახებ, ხოლო კრეისერებზე ვერ შეთანხმდნენ ამერიკა და ინგლისი და საქმე ჩაიფუშა.

ამერიკამ დიპლომატიურათაც წააგო საქმე. მან განუცხადა ინგლისს და იაპონიას: რაშიდაც თქვენ შეთანხმდებით, მე წინდაწინ გაძლევთ დასტურსო. ისინი შეთანხმდნენ და ამერიკა კი განზე გადგა! არსებითათ, რა თქმა უნდა, ყველასათვის თვალსაჩინოა ამერიკის გამოსვლა, როგორც თანასწორი საზღვაო ძალისა ინგლისთან. უკანასკნელი იძულებული გახდა ეს დათმობა გაეკეთებია, ვინაიდან, თუ ამერიკამ მოისურვა მისი გასწრება, ადვილათ შესძლებს, იმდენათ ძლიერია ის ნივთიერათ.

ჟენევის კონფერენციის ჩაფუშვამ ერთგვარ ხიფათში ჩააგდო ერთა ლიგის მეცადინეობა განიარაღების საქმეში. უკვე გაისმის ხმა ყველა ქვეყნებიდან, რომ საჭიროა ხმა აღიმაღლონ თვით ხალხებმა, დემოკრატიამ ურჩ მთავრობათა გონზედ მოსაყვანათო.

პერსელი.

ჩვენი ნაცნობი პერსელი ამსტერდამის ინტერნაციონალმა ლიდერობიდან გადააგდო! ეს ამბავი ყოველ ქართველ პატრიოტს დიდ კმაყოფილებას მოგვრის. განა პერსელი არ მეთაურობდა ეგრ. წოდ. ინგლისის მუშათა დელეგაციას, რომელმაც ინახულა თფილისი და ქვეყნიერებას დაუჯერებელი ყალბი ცნობები მოსდო საქართველოს წინააღმდეგ! მოსკოვის ეს «უანგაროს» მოტრფიალე. ითვლებოდა მუშათა უძლიერეს საერთაშორისო სინდიკალურ ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარედ. მანვე გახსნა ამ ფედერაციის კონგრესი პარიზში და აშკარა პრობოლშევიკური სიტყვა წარმოთქვა. ეს იყო, ასე ვთქვათ, უკანასკნელი წვეთი, რომელმაც აავსო კონგრესისტების მოთმინების ფიალა. მართლაც, პერსელმა და მისმა ამხანაგებმა, ტრედუნიონებიდან, რამდენი ფანდი არ იხმარეს წარსულში, რომ შეეყვანათ მოსკოვის პროფკავშირი ამსტერდამის ინტერნაციონალში, სტატუტის გარეშე, და მით მიეცათ მისთვის საშუალება შიგნიდან აეფეთქებია ეს ორგანიზაცია. საინტერესოა, ტრედ-უნიონები ახლო არ იკარებენ ინგლისში კომუნისტებს, სდევნიან დაუზოგველათ, ხოლო გარეთ მხარს უჭერენ მათ დამქირავებელ მოსკოვს! ეს უპრინციპობა გამოწვეულია იმით, რომ ტრედ-უნიონები დღესაც არ არიან თავისუფალი ილიუზიისაგან, რომ სავაჭრო დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან შეასუსტებს უმუშევრობას ინგლისში, დანარჩენი კი მათ არ ადარდებს. ასე არ უყურებენ საქმეს სხვა ქვეყნების მუშათა სინდიკატები, ისინი ებრძვიან ბოლშევიკურ სტიქიას ყველგან, გარეთაც და შიგნით. მაგრამ, თუ ისინი მაინც განიცდიდენ ტრედ-უნიონების მეთაურობას, ეს აიხსნებოდა იმით, რომ, დიდი ომის შემდეგ, გერმანიის სინდიკატები უკან ჩამოდგენ, ხოლო მეორე ადგილი ინგლისს ეკუთვნოდა. პარიზის კონგრესზედ უკვე გამოტყდა მთელი სიყალბე ასეთი მდგომარეობისა, გერმანელებმა აღიმაღლეს ხმა და მათ მიჰყვენ ფრანგები, ბელგიელნი, სკანდინავია... შედეგმაც არ დაიყოვნა: გამგეობის არჩევნების დროს პერსელმა 69 ხმიდან მხოლოდ ერთი ხმა მიიღო! ერთი წიხლი ჩვენგანაცო—მიაძახა ამსტერდამმა მოსკოვს...

საქართველოს მთავრობისა და პარტიათა წარმომადგენლობის დადგენილებანი.

I.

1927 წ. ივლისის 22: მთავრობის და პარტიათა წარმომადგენლების შეერთებულმა სხდომამ განიხილა რა ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებული წერილები ნ. ჟორდანიასი და ნ. რამიშვილისა, დაადგინა ერთხმათ შემდეგი:

1) სრულიად აშკარა არის, თუ რა მიზანს ისახავს ბოლშევიკური პრესა და ხელისუფლება მთელი იმ განგაშით, რომელიც მათ ასტეხეს აღნიშნულ წერილების ირგვლივ—გაერთიანებული ეროვნული ფრონტის დარღვევას და საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლთა რიგებში არევ-დარევის შეტანას;

2) სამშობლოს განთავისუფლებისთვის ყველა მებრძოლთა წმინდა მოვალეობას შეადგენს, ეს გარემოება არ დაივიწყონ და მით ბოლშევიკების ცდას ჩვენში არევ-დარევის შეტანისთვის გასავალი არ მისცენ;

3) შეერთებული სხდომა მთავრობის და პარტიათა წარმომადგენლებისა იზიარებს საერთო პოლიტიკურ ხაზს, რომელიც გატარებულია ბ-ნ ნ. ჟორდანიას წერილში; ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ თუ გამოქვეყნებულ წერილებში არის ვინმესადმი უმართებულო მოქცევა, რაიცა იწვევს პროტესტებს, ამ საკითხის ამოსაწურავათ, მიღებულ უნდა იქნეს ერთად-ერთი საშვალებათ ის, რაიცა შემოღებულია ყველა კულტურულ წრეებში,—სამედიატორო სასამართლო ან პარტიათა წარმომადგენლების შერეული კომისია, რომელიც აღადგენს სიმართლეს და მისცემს დაკმაყოფილებას, ვისაც თავი შეურაცყოფილათ მიაჩნია.

II.

1927 წ. აგვისტოს 16: მთავრობისა და პარტიათა წარმომადგენლების შეერთებულმა სხდომამ მოისმინა ერთის მხრით განცხადება მთავრობის თავმჯდომარისა, რომ ის ინახულეს ზოგიერთმა პირებმა შესახებ იმ დახასიათებისა, რომელიც გამოთქმულია ბოლშევიკების მიერ გამოქვეყნებულ ნ. რამიშვილის წერილში, მეორეს მხრით თვით მთავრობის წევრის ნ. რამიშვილის განმარტება, და დაადგინა: მთავრობასა და პარტიათა წარმომადგენლობას არა აქვთ საბუთი აღნიშნულ წერილში მოხსენებულ პირებს დასწამონ კავშირი ბოლშევიკებთან.

ქართველები ხარბინში.

ხარბინსა და მის მიდამოებში 100-150 ქართველი ოჯახი ცხოვრობს. ამ ქართველების დიდი ნაწილი ათი და ოცი წლობით არის აქ ნაცხოვრები. ძალიან ცოტაა ახლად ჩამოსული ან ემიგრანტი. ქართველების დიდი ნაწილი ეწევა ვაჭრობას; არიან აგრეთვე მოსამსახურენი, ინჟინრები და ექიმები.

ხარბინში არსებობს ქართველთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოება, რომელსაც აქვს საკუთარი სახლი, სადაც მოთავსებულია თვით საზოგადოების ბინა, საზოგადოების მიერ 1905 წელში დაარსებული უფასო ბიბლიოთეკა. რომელიც ხარბინში ერთ საუკეთესო და უძველეს ბიბლიოთეკად ითვლება და შეიცავს ოცი ათასამდე წიგნს. ამავე სახლში მოთავსებულია კორეელების სკოლა.

საზოგადოებას ყავს თავისი გამგეობა და აქვს დამტკიცებული წესდება. გამგეობა აწარმოებს უმთავრესად საზოგადოების წევრებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების მოწესრიგებას და რაიმე ქონებრივ დახმარების აღმოჩენას, განსაკუთრებულ შემთხვევებში. ყოველგვარ პოლიტიკუსა და ეროვნულ საქმიანობას მოკლებულია ეს გამგეობა. როგორც იქნა ამ უკანასკნელ ხანებში გამოწერილ იქმნა ჩვენი საერთო ორგანო «დამოუკიდებელი საქართველო» და დაეგზავნა მხოლოდ ზოგიერთ ქართველებს. ეს გაზეთი გამოწერილია მხოლოდ 25 ცალი, მაგრამ საქმის წესიერად დაყენების დროს შესაძლებელია ორი ამდენის გავრცელება, ვინაიდან ყველა ქართველი აღფრთოვანებით მიეგება მის მიღებას. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ძალიან უმნიშვნელო საქმეა იმ მოვალეობასთან შედარებით, როგორიც გამგეობას აწევს კისერზე.

მას მეტი ფხიანობა და საქმიანობა ესაჭიროება.

არ კმარა მარტო ურთიერთშორის მომხდარ უთანხმოების მოწესრიგება და ვინმესათვის რამოდენიმე მანეთით დახმარების აღმოჩენა.

გამგეობის მოვალეობა უფრო დიდია... დღეს ჩვენ ყველანი მოწყვეტილი და მოშორებული ვართ ჩვენს საყვარელს სამშობლოს—საქართველოს, რომელიც უკვე მეშვიდე წელიწადია კვნესს და გმინავს რუსეთის წითელ კლანჭების უღელ ქვეშ. გამგეობის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ხარბინის ქართველებს შორის ეროვნულ შეგნების გავრცელებას. აუხსნას და განუმარტოს, თუ რას განიცდიან დღეს საქართველო და მისი საუკეთესო შვილები. საჭიროა საღამოებისა და მოხსენებების მოწყობა. თუ უკანასკნელი შეუძლებელია მცოდნე პირთა უყოლობის გამო—საჭიროა გამოწერილი იქმნეს ჩვენი მთავრობისა და პარტიების საზღვარგარეთის ყველა გამოცემები, როგორც ქართულ ისე რუსულ ენებზე, რათა ამით მაინც გავეცნოთ შორეულ აღმოსავლეთში მომწყვდეული ქართველობა ჩვენი ქვეყნის ჭირსა და ვარამს, რათა არ ვიკვებებოდეთ მხოლოდ და მარტო მოსკოვის აგენტების ინფორმაციით საქართველოს «ბედნიერების» შესახებ. რომ ყოველგვარ წიგნისა და გაზეთების გამოწერას მიზანი და აზრი აქვს, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ «დამოუკიდებელ საქართველოს» 25 ცალი ხელად დაიტაცეს და კიდევ მთხოვნელი ბევრია.

რაც უმთავრესია—ეს არის ქართული სკოლის დაარსების საკითხი. გამგეობის მთელი ყურადღება ამ მხრით უნდა იქნის მიპყრობილი. ეს კითხვა—ძალიან მწვავე ტკივილია ჩვენთვის. შორეულ აღმოსავლეთის ქართველი ოჯახის შვილებიდან ორი მესამედი ვეღარ ლაპარაკობს ქართულად. მოზარდი თაობა—ნამდვილი ქართველის შვილები—დღითი დღე სცილდება საქართველოს და მის ენის ცოდნას. ასეთი სამარცხვინო საქმე-საუკუნოების წინეთ სპარსეთში ძალით გადახვეწილ ქართველებსაც კი არ დამართიათ. იქ მაინც, რამდენათ ვიცით, ოჯახში შენახულია ქართული ენა, და ჩვენ კი გუშინდელი მოსულები ხარბინში, ვცილდებით ჩვენს სამშობლო კერას, ვივიწყებთ მის ენას და ერს უკარგავთ მომავალ თაობას. როდესაც ეკითხები ოჯახის უფროსს, თუ რატომ არ ასწავლე ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა ბავშვებსთქო—სამართლიანად გიპასუხებს—მე მაგისთვის არ მეცალა, დედა მისმა არ იცის, აქ კი არც სკოლა არის და არც ქართული წიგნი, და როგორ ვასწავლიდიო?—მაგრამ არის ისეთი ოჯახები, სადაც დედა ქართველია, მაგრამ ბავშვები მაინც გარუსებულია, ვინაიდან რუსულ სკოლაში სწავლობენ და რუსულ წრეში იზრდებიან.

გამგეობას ქართული სკოლის გახსნის სრული საშვალება აქვს. საზოგადოების სახლი, რომელშიდაც დღეს დღეობით უცხოელების სკოლაა მოთავსებული, სავსებით საკმარისია ქართველი ბავშვებისათვის. საჭიროა მხოლოდ სახელმძღვანელოები და მასწავლებლები, რომლების შოვნა და გამონახვა ადვილია, მხოლოდ საჭიროა საქმის დაწყება და მეთაურობა.

საქმე დაყოვნებას არ ითმენს! საშვილიშვილო დანაშაულს ჩავდივართ და ერს უკარგავთ საკუთარ ღვიძლ შვილებს!

საზოგადოთ კი საჭიროა, რომ გამგეობამ თავის გარშემო შემოიკრიბოს უფრო მჭიდროთ ყველა თავის წევრები, მოახდინოს ქართველების ხელახალი აღწერა და ნიადაგი გამოაცალოს ბავშურ ბუტიაობას, რომელსაც იჩენს ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტი.

დღეს ჩვენ ეროვნულ საქმის გაკეთება გვესაჭიროება. ყველა ერთი აზრით უნდა ვიქნეთ გამსჭვალული: ვნახოთ საქართველო თავისუფალი და ვამზადოთ ნიადაგი ამისათვის. ის ვინც ჩვენთან არ არის ამ საქმეში დღეს, ის ჩვენი მტერია, —ის მოსკოვის ჯალათების აგენტია, ის მოღალატე და საზიზღარია!

დანი.

პანაშვიდი კათალიკოზის ამბროზის სულის მოსახსენებლად.

23 ივლისს პარიზის ბერძენთა ეკლესიაში ქართველთა საზოგადოების გამგეობის ინიციატივით გადახდილ იქნა პანაშვიდი კათალიკოსის ამბროსის სულის მოსახსენებლად. მწირველი იყო არქიმანდრიტი ვასილიკოსი, გალობდა ბ. მოსულიშვილის ქართული ხორო. პანაშვიდს დაესწრო მრავალი საზოგადოება. გარდა ქართველებისა იყო დიდძალი უცხოელობა. საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარემ გამოგზავნა თავისი მდივანი. დაესწრენ ყველა ეკლესიის წარმომადგენლები, საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეები, უკრაინის ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარე ბ. პროკოპოვიჩი, ადერბეიჯანის, სომხეთის და ჩრდილო კავკასიის წარმომადგენელნი, არგენტინის, ლიუქსენბურგის, უნგრეთის, ესტონეთის, ლატვიის ელჩები და რუმინიის ელჩის მოადგილე, ფრანგულ გაზეთების თანამშრომლები და სხ. გამგეობის თავმჯდომარემ მრავალი პირისაგან მიიღო სამძიმრის წერილი თუ დეპეშა.

ჯოტო ემუხვარი

ოტვილში (საფრანგეთის სავუა) გარდაიცვალა ახალგაზდა ოფიცერი ჯოტო ემუხვარი და მით ჩვენ მხედრობას უცხოეთში ჩამოაკლდა ერთი საუკეთესო მამულიშვილი. დაბადებით სამურზაყანელი, თავის დროზე განთქმულ გიო ემუხვრის შვილის შვილი, პატარა ჯოტო მოხვდა ქართულ წრეში და იყლინთება საქართველოს განმათავისუფლებელ იდეებით. როცა დაჰკრა დამოუკიდებლობის ქამმა, ჯერ კიდევ სულ ახალგაზდა, ის ესწრაფვის ქართულ ჯარში შესვლას, რასაც კიდევაც აღწევს, და იბრძვის მის რიგებში სამშობლოს დასაკავათ. საფრანგეთში ჩამოსვლისას ის შედის, საქართველოს საელჩოს დახმარებით, სომიურის ცნობილ საკავალერიო სასწავლებელში, სადაც მას განცვიფრებაში მოჰყავს უფროსები თავისი ნიჭით და სიმარდით. სასწავლებლის გათავების შემდეგ ის რჩება პოლკში და განაგრძობს წრთვნას. მაგრამ ამ დროს მას გამოაჩნდა საშინელი სენი—ჟლექი და ორი წელიწადი ლოგინათ ჩაწვა. მას უვლიდა თავდადებით მეუღლე, შთამომავლობით ამერიკელი, და მის კალთაში განუტევა მან სული.

ჩვენი უღრმესი თანაგრძნობა ქ-ბ ემუხვარისას, ქართველ მხედრობას და ახლათ გარდაცვლილის დედას.

ქართულ ემიგრაციის საყურადღებოთ.

ჩვენ ვვთხოვენ ვაუწყოთ ქართულ ემიგრაციას შემდეგი:

ამ რამოდენიმე თვის წინათ საქართველოდან არა ლეგალური გზით სხვა ახალგაზდებთან ერთად ჩამოვიდა ვინმე ლეონიდე ჩიხლაძე. ეს ვაჭბატონი არის სერგო ორჯონიკიძის ჯაშუში. ამა წლის 2 ივლისით დათარიღებულ წერილში ის აწვდიდა განთქმულ ჯალათს ბრიყვულათ მოჭორილ ცნობებს ემიგრაციის პოლიტიკურ ცხოვრების შესახებ და თან საფასურსაც სთხოვდა—«ნახევრად მშიერი ვაროო».

ვაფრთხილებთ ქართველ ემიგრანტებს—ერიდონ ჯაშუშს!

განცხადება.

ნიკოლოზ და ანნა გოდერძიშვილები სთხოვენ ყველას, ვინც კი რაიმე იცის მათი დაკარგული შვილის გიორგის შესახებ, მოაწოდონ ცნობები. მათი შვილი გიორგი, 17 წლისა, გიმნაზიელი, უკანასკნელად უნახავთ ბათომში 1921 წ. და ამის შემდეგ არავითარი ამბავი არაა.

Rédaction et Administration.
M. J. GOBETCHIA
7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise* Le Gérant : LARGILIÈRE.